წელიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | შაბათი, 10 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 276

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

1 ქრისტეშობისთვეს ტრაგიკულის სიკვდილით გარდაიცვალა სადგურ მალაჯარას ახლო თბილისის საკონტროლო პალატის რევიზორის თანაშემწე

## გერასიმე სიმონის ძე
## ქიქოძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ მიცვალებულის ასული და დ-ძმანი. მიცვალებულის მოსვენებისა და დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
(1—427—1)

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები: თებრო ლუარსაბის ასული და ახლან სვიმონის ძე თავ. ვაჩნაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ გვამი დაუვიწყარის მათის ასულის

## ეკატერინე (კატუშასი)
## ვაჩნაძისა

მოასვენეს თბილისი რკინის გზის სადგურზედ ერზერუმიდან; შაბათს დილით კახეთის მატარებლით მიასვენებენ სოფელ კარდენახში, სადაც 11 დეკემბერს მოხდება დაკრძალვა, ფერისცვალების ეკლესიის გალავანში.
(1—426—1)

## დილის წარმოდგენა
### (ახალ კლუბის შენობაში)

კვირას, 11 გიორგობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება: **კინი** 5 მოქ. და 7 სურათად ა. დიუმასი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: იმხნელი, ივანიძე, ბარველი, გვარაძე, წარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ციციშვილი, ჩაგუნავა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
(3—290—2)

## სახალხო სახლი

ორშაბათს 12 ქრისტეშობისთვეს ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ურიის სისხლი

დრ. 3 მოქ. ა. ბერშტეინისა. თარ. შ. დადიანისა.

II.

## ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე ჯავახიშვილი, ბ-ნნი არადელ-იმხნელი, ბარველი, გვარაძე, წარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ციციშვილი, ჩაგუნავა.
ადგილების ფასი 170—20 კ.-დე. ✦ ✦ დასაწყისი საღ. 8 საათზე.
ანონსი 19 ქრისტეშობ. წარმოდგენილი იქნება დაძირული ზარი.
ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.
(3—289—2)

## თბილისის სასტუმროების,
### ავეჯით მორთულ ოთახების, რესტორანების და სხვათა პატრონების ურთიერთ დამხმარე საზოგადოების
## გამგეობა

სთხოვს თავის წევრებს მობრძანდნენ და მიიღონ **კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი**, რომელიც არის მოთავსებული საწყობში, გოლოვინის პროსპექტზედ, № 28.
გამგეობა იმყოფება თეატრის ქუჩაზედ, ივანოვის სახლში.
თავმჯდომარე ნ. ხიხარულიძე.
(1—425—1) საქმისწარმოებელი ი. რაზმაძე.

## გამოვიდა და იყიდება
### ქ. შ. წ. კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში

## ●●● „ბ რ დ ე მ ლ ი" ●●●

ახალი წიგნი. ფასი 2 მან. 50 კაპ.
5—267—3) გამოცემა ძ. სიტყვა-კაზმულ მწერ. საზოგადოებისა.

## საბურთალოზე
(საგაბაშვილო თხინვალის აგარაკი)

### სამოსახლოების მყიდველთა საყურადღებოდ

ჩვენ დავსჭერით და გავყიდეთ ადგილები, ძლიერ იაფად საბურთალოზე, რადგანაც ამას გვაიძულებდა გარემოება... მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხვედრი ფული მაინც თავ-თავის ვადაზე არ შემოდის, ამისათვის ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვაცხადებთ საყოველთაოთ, ვინც მთელი სამოსახლოს ღირებულობის ათი თვის ხვედრს შემოსატანს ფულს არ წარმოადგენს, ამ 1917 წლის პირველ იანვრამდინ, მათ ადგილის დასაკვეთად შემოტანილი ბეიც აღარ დაუბრუნდებათ და დაკვეთილი სამოსახლო ადგილებიც აუცილებლად ჩამოერთმევათ და სხვა პირებზედ დაიყიდება.
ამასთანავე ვაცხადებთ, ვისაც სამოსახლოების შეძენა სურს საბურთალოზედ, 1917 წლის პირველ იანვრიდან მობრძანდნენ იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა № 5 წიგნის მაღაზია „ცოდნა" და შეირჩინონ დატოვებული ადგილები.
ივანე ზაალის ძე სვანიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე და ხევასტი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.
(10—418—4)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

შაბათს, 10 ქრისტეშობისთვეს,

## სიმფონიანი ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ ✦ დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ ს.
(1—293—1)

## სახალხო სახლში
### კვირას, 11 დეკემბერს,

ვაჟა-ფშაველა გამართავს ფრიად საყურადღებო— სამხატვრო — სალიტერატურო—სამუსიკო

## დილას ოთხის განყოფილებით:

1. „ვაჟა-ფშაველა და ყაზბეგი". ლექციას წაიკითხავს დ. კასრაძე. 2. წარმოდგენილი იქნება ერთ მოქმ. ვოდ. „ხ ი მ ა რ თ ლ ე". მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი გოდერძი, მჭედლიშვილისა, რჩეულოვი; ბ.ბ. მინდიაშვილი, მეტრეველი, რომანიშვილი. 3. ლექსებს წაიკითხავენ: ლელი ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, ს. ერთაწმინდელი, გ. ლეონიძე და ვეფხო ფშაველი. 4. სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობენ: ბ. ბ. გ. ჩუბინაშვილი, ლეჟავა, ი. სალირაშვილი. შესრულებული იქნება რამდენიმე „ტრიო" და სხვა. ბილეთები ამ თავითვე იყიდება სახაიე „ძმურ ნუგეშში" და კანტორა „განათლება"-ში. კვირას ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლში ცალკე მაგიდაზე.
ბილეთების ფასი 20 კ.-დან—1 მ.-დე. დასაწყისი 12 საათზე.
(2—428—1) გამგე გოგლა ლეონიძე

## შემთხვევით იაფად
### იყიდება
## ველოსიპედი
✦ ენფილდის სისტემისა ✦
გონჩარნი ქუჩა № 32.

## ექიმი
## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ურჩიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

### ექიმმა
## გ. მ. მუხაძემ
მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

დოქტორი მედიცინისა
### მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

### ექიმი
## გ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

## წ.-კ. გ. საზოგადოების კრების გამო

ხვალ წერა-კითხვის საზოგადოების წლიური საზოგადო კრებაა, ამ კრებამ უნდა განიხილოს მისგან არჩეულ პირთა ამა წლის საქმიანობა და თავისი მსჯავრი დასდოს მას. პრესამაც უნდა გაიხსენოს თავისი ყოველწლიური მოვალეობა და უნდა თავისი აზრი და შეხედულება გამოსთქვას ამავ საგანზედ. ამ სავალდებულო საქმეში სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ვერავითარი ისეთი აზრი ვერ გამოგითქვამს და ვერავითარი ისეთი რჩევა ვერ მიგიცია, რომელიც ახალი იყოს და რომელიც სხვა რომელიმე დაწესებულებისათვის მრავალჯერ აღარ მოგეცეს და აღარ გერჩიოს. წერა-კითხვის საზოგადოების შესახებაც ისეთივე შენიშვნები უნდა გამოსთქვა კაცმა, როგორიც მაგალითად დრამატიულ საზოგადოების, ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირისა და სხვა საზოგადოებათა შესახებაც. ყოველგან ერთი შაბლონია შემოღებული, ყოველგან ერთი წესია გაბატონებული, ყოველგან ერთი ძირითადი ნაკლი და სატკივარი აფუჭებს საქმეს. ყველა ჩვენს კერძო საზოგადოებას ერთი საერთო სენი სჭირს, და ამიტომაც რჩევაცა და რეცეპტიც ძალაუნებურად ერთი და იგივე და სტერეოტიპული გამოდის. სამწუხარო, მაგალითად, რომ იძულებული ხარ უანგარო მუშაკთ გარჯის შედეგი და უწუნო და უთხრა, რომ მეტის-მეტად საცოდავია ნაყოფი მათი ჰაპან-წყვეტისა. ბევრიც რომ გინდოდეს, არ შეგიძლიან მუყაითობის ნაყოფიერობა მიულოცო დიდათ პატივცემულ დავით კარიჭაშვილს, წ. კ. ს. გამგეობის ერთს ყველაზედ ერთგულესს წევრს და თავმჯდომარის ამხანაგს, რომელიც გამგეობის 58 სხდომიდან 56 დასწრებია და 431 საქმის გარჩევაში მონაწილეობა მიუღია! არც ის შეგიძლიან რომ, მაგალითად, გამგეობის მეორე წევრს პატივცემულ ვ. მუსხელიშვილს გულგრილობა დასწამო და საყვედური გამოუცხადო მხოლოდ იმისთვის, რომ ამდენი სხდომიდან მხოლოდ 10-ს დასწრებია! არა გაქვს ამის ზნეობრივი უფლება. იცი, რომ ყველა უანგაროდ შრომობს და რომ გამგეობის არც ერთ წევრს არავითარი სასყიდელი და არავითარი ნივთიერი ინტერესი არ იზიდავს ამ დიდს ეროვნულ საქმეში. იცი, ყოველი ქართველი ინტელიგენტი პირადის საქმეებით რომ ძალზედ დატვირთულია და სარჩო-საბადებლის შოვნას მთელ თვის ძალ-ღონეს რომ ანდომებს. იცი, ერთი და იგივე ქართველი ინტელიგენტი მრავალი სხვა და სხვა საზოგადოების გამგეობათა წევრი რომ არის და თითქმის ყოველდღე სხვა და სხვა კრებაზედ რომ დაიარება, რომ იგი საცოდავად დახედნილია და დავარდნილი! აშკარაა, რომ მისი საქმიანობისა და შრომის ეკვივალენტი მეტის-მეტად მცირე და უმნიშვნელო რამეა. მაგრამ ვერაფერი გითქვამს! ზემო ჩამოთვლილი მოსაზრებანი თითქოს ამართლებენ კიდეცა ქართველი კაცის საზოგადო მოღვაწეობის უნაყოფობას და შენც საყვედურისა და უკმაყოფილების საბუთსაც თითქმის ხელიდან გაცლიან!

ასეთი მდგომარეობა კი აღსავსეა საზოგადოების დამშლელი თვისებებით. იმაზე ცუდი და სახიფათო რა უნდა აყოს, რომ საზოგადო დაწესებულების უქნარობასა და მცონარეობას ზნეობრივად თავის გამართლების საშუალება ეძლევა?! ტ საზოგადოებაში ფეხს იკიდებს საზოგადოებრივი დაუდევრობისა და უილაჯობის შებრალების პსიხოლოგია. შეუძლებელია ასეთ პირობებში ყოვლად ცხოველმყოფელი საქმეც არ გაიხრწნას. ეს არის თავი და თავი საფრთხე, ჩვენი დაწესებულებათა ბედის ნამდვილი საფრთხე. აქ არის იმის დასაწყისიც, რომ ქართველი კაცის ნაშრომისა და ნამოღვაწარის ეკვივალენტი მეტისმეტად მცირე და უმნიშვნელოა. ამიტომაც უპირველესად ყოვლისა საჭიროა ამ სამწუხარო სინამდვილის სრული ლიკვიდაცია. ჯერ და თავად ამას ბოლო უნდა მოეღოს.

წერა-კითხვის საზოგადოების საქმე ერთობ გართულდა და გამრავალფეროვანდა; იგი დღეს, თუ გნებავთ, წერა-კითხვის სამინისტროს წარმოადგენს, რომელსაც მრავალი სხვა და სხვა დეპარტამენტი აქვს. უფრო დაწინაურებულ ხალხშიც ხშირი არ არის ისეთი კერძო კულტურული დაწესებულება, რომლის ბალანსი 453,634 მანეთს უწევდეს. საზოგადოება დაყოფილია სექციებად, არის ადმინისტრატიული სექცია, სასკოლო სექცია, საგამომცემლო, სამუზეუმო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვათა მმართველი სექცია და სხვა და სხვა.

საზოგადოებას დღეს 13 განყოფილება ჰყავს საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქსა, თუ სოფელში. აქვს 19 სკოლა, 88 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საკუთარი წიგნის მაღაზია და სხვა და სხვა. და როგორ შეიძლება, რომ ამოდენა ქონებასა და ეგზომ რთულ საქმეს არა ჰყავდეს საგანგებოდ მიჩენილი პირები, რომელნიც დღე და ღამე ამ საზოგადოების საქმეებზედ ფიქრობდენ და ზრუნავდენ და მას, მარტო მას, სწირავდენ მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას, მარტო მას ახმარდენ მთელი თავიანთი საზოგადოებრივი სინიდისის მოძრაობასა და სიცოცხლეს?! ამის მაგივრად ჩვენ კი გვინდა ქართველ ინტელიგენტს მოვპაროთ დასვენების წუთები და მის საცოდავ ბეჭებს, რომელსაც ხეირიანად ოჯახის მოვალეობაც ვერ უზიდნია, მთელი საზოგადოების უზარმაზარი ტვირთი ავკიდოთ და დიდი საზოგადოებრივი მოვალეობა დავაკისროთ! დღისით-მზისით ვძარცვავთ და ვიტაცებთ დაღლილი კაცის უკანასკნელ ენერგიას.

ქართველ ინტელიგენტსაც, ერთხელ დამკვიდრებული ტრადიციის ძალით, უარი ვერ უთქვამს და ძალა-უნებურად ეწევა ნაძალადევ ქველმოქმედებას, უხალისოდ და უსიცოცხლოდ. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, წ.-კ. საზოგადოებაზე ზრუნვა მხოლოდ მაშინ გაახსენდეს, როდესაც მიღებული უწყება მოაგონებს გამგეობის სხდომის დღესა და საათს. და ასე, მოწყვეტილი ინტელიგენტის შემთხვევით მზრუნველობასა, მის ფიზიკურ და გონებრივ ენერგიის უსასყიდლო ექსპლოატაციას ვანდობთ ცოცხალ რთულ ეროვნულ საქმეს და ვფიქრობთ, რომ ეს საქმე დიდ კვალს დაამჩნევს ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას! მთელი ორმოცი წელიწადია, რაც წ.-კ. საზოგადოება არსებობს და ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ძალნი მას სათავეში უდგანან და ამდენი ხნის განმავლობაში ერთი ისეთი საქმე ვერ გაუკეთებია, რომელიც ტიპად, ნიმუშად გამოდგებოდეს და რომელსაც ახალი რამე შეეტანოს ჩვენს ცხოვრებაში. უსასყიდლო მუქთმა შრომამ რომის დიდი იმპერიაც დაამხო. ჩვენში კი, მადლობა ღმერთს, ამ გზით ცოტა რამე მაინც გაკეთებულა, ესეც უნდა ვიკმაროთ: საზოგადო დაწესებულებებიდან უნდა განიდევნოს ნაძალადევი ქველმოქმედება და შრომის სასყიდელი უნდა შემოვიღოთ. ამის კვალობაზე წ. კ. საზოგადოებასაც უნდა შეუქმნათ მთელი პერსონალი პატიოსან, მუყაით და მცოდნე მუშაკთა, რომელთაც განსაზღვრული სასყიდელი მიეცემა და რომელთა მთელი ძალა და ენერგია მარტოდ-მარტო ამ ჩვენს დიდსა და საყვარელ კულტურულ ორგანიზაციას მოხმარდება! მაშინ საზოგადოებასაც სრული უფლება მიეცემა ამ ხალხსა. მოსთხოვოს ყოველი დაკისრებული საქმისა და ვალდებულების უნაკლულო აღსრულება. აღარ იქნება უკუღმართი მდგომარეობა, ჩვენგანვე არჩეულ პირს დღეს რომ ერთგვარ ზნეობრივ საბუთს აძლევს თავისი უქნარობაც გაამართლოს და იმ საზოგადოების ნაკლები ნაყოფიერობაც, სადაც იგი ერთ-ერთ მეთაურად არის დაყენებული და რომელიც ამავე დროს შენც ზნეობრივად გარწმუნებს, რომ მაინცა და მაინც არც გაქვს უფლება ასე რიგად მცონარეობა და უმოქმედობა უკეთინო ამ შენგანვე არჩეულ ადამიანს; იცი, რომ გაბრიყვდე და მისი ადგილი დაიჭირო, შენც ამ მდგომარეობაში ჩავარდები! ვისიც შრომა და ენერგია საზოგადოებას განუწყვეტლივ სჭირია, იმას საზოგადოებამ შესაფერი სასყიდელიც უნდა მისცეს. ამას მოითხოვს დღევანდელი სოციალ-ეკონომიური ზნეობა.

ამ გზით მოისპობა საზოგადოებრივი დაუდევრობა-უქნარობის შებრალების ფსიხოლოგია და ხმარებაში შემოვა სალი მეთოდი და საზომი ამა თუ იმ პიროვნების მოქმედების დასაფასებლად. ამით მოიგებს საზოგადოება, მოიგებს მოღვაწე ინტელიგენტი, მოიგებს მთელი საქმე და გამოსწორდება აზრი და შეხედულება საზოგადო მოღვაწეობაზედ, დღეს რომ ყალბად გვესმის და წარმოგვიდგენია.

ძველი ქართველი.

## სპეციალ განათლებისათვის!

რუსეთთან საქართველოს დაკავშირებამ ჩვენის ცხოვრების მრავალ დარგს ღრმა კვალი დაამჩნია. ერთ საუკუნეზედ მეტია, რაც რუსების ცხოვრებითა ვცხოვრობთ, მათის აზრებითა ვაზროვნობთ და მათის სიხარულით ვმხიარულობთ.

საკუთარ სახელმწიფოებრივს ცხოვრებას მოკლებული, სავსებით ვეყრდნობოდით დიდ მთავრობის ნებასურვილს და მის მიერ ნაჩვენებ გზით ვვიდოდით, საკუთარი ინიციატივა დავკარგეთ და სხვას შევცქეროდით. საქართველოს ინტელიგენცია საკმაო ჰყავდა, მაგრამ ეს ინტელიგენცია ჩვენს საჭიროებებთან დაშორებულ ტიპის სასწავლებლებში აღზრდილი, ეროვნულ ტკივილს სავსებით ვერ გრძნობდა.

საქართველოს შვილნი სამშობლოს წარსულსა და აწმყოს არ იცნობენ და ამავე დროს სიყვარულით ეცნობოდნენ უცხოთა მწერლობასა და ისტორიას და რუსეთის უნივერსიტეტებში რუსეთის მეცნიერებასთან ზიარებით იქაურ ინტელიგენციას უახლოვდებოდნენ, მათის ინტერესებით იმსჭვალებოდნენ და მათი აზროვნება გადმოჰქონდათ საქართველოში.

საქართველოს ბუნების ულეველნი სიმდიდრენი და შინაური მოუწყობლობა კი მზრუნველთ დაჟინებით თხოულობდა. საზოგადო განათლება მიღებულ ახალგაზდათ კი არც უნარი შესწევდათ და არც შესაფერი ცოდნა, რომ თვისი ძალა ეროვნულ სარბიელზედ გამოეყენებიათ და მოდიოდნენ უცხონი საქართველოში, დამცინავი ღიმილით უცქეროდნენ გულხელდაკრეფილ ქართველთ და მათგან გამოუყენებელ სიმდიდრეზედ თავის კეთილდღეობას აშენებდნენ. ქართველთაგან კი ვაჭრობა-მრეწველობა სასაცილო და შეუფერებელ საქმედ იყო მიჩნეული და ჩვენი ძალები რუსეთის მოხელეობაში უნდა დაგვენთქა.

დრონი იცვალნენ. ცხოვრების რკინის კანონებმა თვალი გაგვიხილა, დავინახეთ, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ჩვენზედ უნდა იყოს დამყარებული, რომ ჩვენს გარეშე ჩვენთვის არავინ იზრუნებს. შევიგნეთ, რომ ჩვენი სისუსტე ჩვენს ეკონომიურ დაქვეითებაშია, რომ ერი ძაბუნი და ღარიბი თავის თავს ვერ მოუვლის, ასი წლის გამოცდილებამ

ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ერს, თავათ მოუწყობელსა და დაქვეითებულს, ჩვენი დახმარების ძალა არ შესწევდა.

და აჰა, ყოველისავე ამის ნაყოფი საქართველოში უკვე თავს იჩენს. ქართული მრეწველობა დღითი დღე ფართოვდება, ქართული ვაჭრობა თან და თან იზრდება და ამ სარბიელზედ სამოღვაწეოდ ახალი ძალები გამოდიან.

მათ წინამძღოლნი სჭირდებათ, გამოცდილნი და ცოდნით აღჭურვილნი. ქართველმა ახალგაზდობამ ძველად მიღებულ საზოგადო განმანათლებელ სკოლებისაგან ფეხი უნდა იბრუნოს და სპეციალ განათლებას დაეწაფოს საქართველოს დაუმუშავებელი, მიწაში დაფარული სიმდიდრენი გამოცდილ ინჟინერ-გეოლოგ-ტეხნიკოსებს მოითხოვს, ახლად ფეხადგმული ვაჭრობა გამოცდილ კომერსანტებს, და საქართველოში კი ესეთნი იშვიათი მოსაძებნი არიან.

საქართველო უნდა მოიფინოს საკომერციო, სატეხნიკოსო, სამეურნეო, და სხვა ესეთი ხასიათის სკოლებით, რომ ჩვენს ნორჩ ბურჟუაზიას მხარი გავუმაგროთ გამოცდილ სპეციალისტთა მიწოდებით. ამ მხრით პირველი მაგალითი ქუთაისმა მოგვცა: საკომერციო სასწავლებლად გადაკეთება ქართულ გიმნაზიისა უკვე გადაწყვეტილი საქმეა, ხოლო ამას წინად არსებულ საკომერციო სასწავლებლის მზრუნველებმა წმინდა ქართული სახის მიცემა მოიწადინეს. ამ ფრიად სასიამოვნო მაგალითს საქართველოს სხვა კუთხეებმაც უნდა მიბაძონ და დაბა-ქალაქებში მრავლად არსებული პირველდაწყებითი სასწავლებლები, რომელნიც სრულებით შეუფერებელნი არიან ჩვენის ცხოვრებისათვის, შეეცადნენ სპეციალ სასწავლებლებად გადააკეთონ. ეს ომი ასე თუ ისე ხომ უნდა დასრულდეს, და ჩვენს წინ ბევრი ისეთი საქმე დაისახება, რომლისათვის სპეციალი ცოდნით აღჭურვილი ახალგაზდანი აუცილებლად საჭირონი იქნებიან.

ლ. ჯ—ძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

დობრუჯში მოპირდაპირე მეტად ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, ბრძოლა ახლა უკვე ბაშკიოისთან სწარმოებს. ეს სოფელი მდებარეობს ქ. ბაბადაგის აღმოსავლეთით. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ დღევანდლამდის ხსენებული ქალაქი აღებული არ არის, დღენი მისი მაინც დათვლილია. ცენტრალური სახელმწიფოს არმია, რომელსაც მთავარსარდლობს ბულგარელი გენ. ტოშევი, უფრო მარჯვენა ფრთით იწევს წინ. განზრახვა მათი აშკარაა. უკანასკნელთ სურთ ამ მხრივ გაიჭრან დუნაის შესართავის პირველ ტოტთან, რომელიც ამ ადგილიდან სულ რამდენსამე ვერსით არის დაშორებული. აქ გამოსული მოპირდაპირე რუმინელთა და რუსეთის ჯარებს დუნაის ნაპირებით მოექცევა, დამზადებულ ხიდებს დანგრევას დაუწყებს და ამ გვარათ საშუალებას მოუსპობს მეორე ნაპირზედ დროზედ გადავიდეს. დღევანდელ ბრძოლას მოკავშირეთა ჯარებისათვის მხოლოდ დამხმარი მნიშვნელობაღა აქვს. დობრუჯის გადანარჩუნება, ან და დაბრუნება ახლა მაინც ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა იმდენად შეაფერხონ გენ. ტოშევის ჯარი, რომ რეზერვებმა მაინც მოასწრონ გადასვლა მდინარეზე.

დიდ ვლახეთში, უფრო ჩრდილოეთით ქ. რიმნიკისა, ახლა დროებით მცირე შეტაკებები ხდება მოპირდაპირე რაზმებისა. ეტყობა, მთავარი ძალები გერმანელებისა ჯერაც არ მოსდგომიან ბრძოლის ხაზს. საერთოდ, რუმინეთის მთავარ ასპარეზზე მას შემდეგ, რაც გერმანელები ცენტრში უფრო შორს შეიჭრნენ და ბუზეო-გალაცის გზას ძალიან დაუახლოვდნენ, რუმინეთის ჯარის მდგომარეობა საშიში შეიქმნა. ამ უკანასკნელ გზის ხელში ჩაგდებით, მოპირდაპირე ერთგვარ რკალს არტყავს რუმინეთის ჯარს აღმოსავლეთით წამოსულს. გალაცისაკენ უკან დახევის საშუალებას უსპობს და აიძულებს პირი იბრუნოს მდ. სერეტისაკენ, საითკენაც სავლელად მხოლოდ შარა გზები აქვთ გაყვანილი. ამავე დროს აგრეთვე ჩრდილოეთით ბუზეო-რიმნიკის და ფოქშერის რკინის გზის აღებით აგრეთვე რკალს არტყავენ რუმინელებს და იძულებულს ხდიან ისევე მდინარე სერეტისკენ წამოვიდნენ. თვით მიდამო, ორივე მხრიდან რკინის გზებით შემორტყმული, ძალიან მცირეა; აქ ყოვლად შეუძლებელია ჯარმა თავისუფალი მანევრები მოახდინოს, არა თუ ოპერაციებზე იფიქროს, ან და მტრის მაინცა და მაინც დიდხნით დახანება და შეკავება შესძლოს. დეპეშა გადმოგვცემს, რომ პირლიცა-ოცატკუცას ხაზზე ჩვენ იძულებულნი ვიყავით უკან დაგვეხიაო. ადვილი ასახსნელია, თუ მოპირდაპირე უფრო ამ ხაზით რად სცდილობს წინ წაწევას. უკანასკნელისათვის ფრიად საჭიროა ქ. გალაცის მოწყვეტა. რაკი ამ მანევრს გამარჯვებით დაამთავრებს, მაშინ გენ. ფალკენჰაინიც უფრო მეტის გაბედულობით შეეცდება ჩრდილოეთით ფოქშერის ველში გამოვიდეს და აქედან დაემუქროს მთელს რუმინეთის ჯარს.

ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, სულ მოკლე ხანში მოლდავეთის ბრძოლის ველი, სადაც, თითქმის ერთ კვირაზე მეტია, მყუდროებაა დამყარებული, დიდ ვლახეთს არ გამოეხმაუროს. გენ. არცა-ფონ-შტრაუსენბერგის არმია, რომელიც იცავს მოლდავეთის კარპატებს, როგორც ახლა ირკვევა, ძალიან მცირე რიცხვოვანი ყოფილა. მისი დროგამოშვებითი იერიშები, ალბათ, ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული. მას შემდეგ კი, რაც რუმინეთის ჯარი მდ. სერეტს მიადგა, მოპირდაპირე, უეჭველია, საკმაო ძალებს გარეკავდა ამ ასპარეზზე და მთავარ მოქმედებასაც განაახლებს. მდ. ოიტუზს ახლა უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა. აქ მომქმედი მოპირდაპირის ჯარი, ჯერ ერთი, დიდ დახმარებას გაუწევს ფალკენჰაინს, მეორეც, საშუალებას მოუსპობს რუმინელთ ფოქშერის ველით მოლდავეთისაკენ დაიხიონ. ამას გარდა, ოიტუზით წამოსულმა გერმანელთა ჯარმა, შეიძლება, მდ. სერეტიც გადალახოს და პირ და პირ ბესარაბიისაკენ გაიჭრას. ასეთი მანევრი შეიძლება სახიფათოც იყოს, მაგრამ ამავე დროს, თუ კი შესძლო მოპირდაპირემ, დიდ შედეგსაც მიახწევს. სულ ერთია, ადრე თუ გვიან, როგორც ფალკენჰაინს, ისე მაკენზენს ხსენებულ მდინარის გადალახვა მოუხდებათ, თუ კი ოპერაციას აქ არ დაამთავრებენ და არ გაჩერდებიან.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მტერი ისევე განაგრძობს ალაგობრივ ხასიათის შეტევას. ახლა მას ზოლოჩევსკის მიმართულებით გაუჩაღებია მოქმედება. ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, აქ მათ საშინელი ცეცხლი გაუჩაღებიათ მძიმე არტილერიით. ამავე დროს, მათ განუზრახავთ მდ. ცენიუვკას გადალახვა. ეს მდინარე ერთვის ზოლოტაია ლიპას სოფ. შიბალინთან. ტყიან კარპატებში რუსეთის რაზმს რამდენიმე სიმაგრე აუღია.

X.

## ომის დეპეშები

**9 ქრისტეშობისთვე.**

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გუშინ პატარა პორსკის მიდამოებში მტრის მიერ აღებული ჩვენი ერთი როტის სანგრები ისევ დავიბრუნეთ. ბოლდურის მიდამოებში მოპირდაპირის დაშვებული ჰაეროსტატი აეშვა და ქარმა ჩვენს მხარეს გამოაქროლა. სად დაეშვა ეს ჰაეროსტატი, ცნობა არა გვაქვს. მდ. ნარიუვკაზე, ხარბუტოვის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა გერმანელების დიდი რაზმი გაჰფანტეს და ტყვეებიც წამოიყვანეს. მდ. უსის ველში ჩვენმა ჯარმა მაღლობები დაიჭირა. აქ ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 25 ჯარისკაცი, 1 ტყვიის მფრქვეველი და ბევრი იარაღი. სოფ. გლიასხუტეს აღმოსავლეთით რამდენიმე მაღლობი ავიღეთ და ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 211 ჯარისკაცი და 1 ტყვიისმფრქვეველი. მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზზე** ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინიის ასპარეზი.** რიმნიკ-სერეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მზვერავთა მოქმედებაა. ფილპეშტის სადგურისა და ბატოგუს მიდამოებში მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ზოლოჩევის მიმართულებით, სოფ. გარბუზოვისა და გუჟლოვცეს მიდამოებში, მოპირდაპირე მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს. ჩვენმა ზარბაზნებმა გაჰფანტა რამდენიმე ჯგუფი ქვეითა და ცხენოსანი ჯარის, რომელიც სოფ. პრისოვედან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. მოპირდაპირემ სცადა მდ. ზოლოტოი ლიპას მარცხენა ტოტზე მდ. ცენიუვკაზე გადასვლა სოფ. შიბალინის მიდამოებში, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ტყიან კარპატებში, კიმპოლუნგ—იაგობენის რკინის გზის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდამოებში მაღლობის ნაწილი ავიღეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** მთემლეს მიდამოებში, ყიალყითის ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენმა მზვერავებმა ოსმალები განდევნეს თხრილებიდან და დაუნგრიეს მოსაგერიებელი შენობები და მიწური სანგრები. მთაში ნიავქარია.

სპარსეთში, ქამადანის სამხრეთ დასავლეთით 50 ვერსზე ჩვენმა რაზმებმა სეზაშის უღელტეხილი დაიჭირეს.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. დუნაის მარცხენა ნაპირას, ბუზეოს ჩრდილოეთით, ჩვენი მოწინავე რაზმები მოქმედობს. ბუზეო-რიმნიკის გზატკეცილიდან ინსურაცი-ვიზირუს შარა-გზამდე მოწინავე ჯარისა და ზარბაზნებით ბრძოლაა. ინსურაცი-ვიზირის შარა-გზის ორსავ მხარეს მოპირდაპირე ერთ პოლკ ცხენოსანი და ერთ პოლკ ქვეითა ჯარით იერიშებით მოდის, რომელსაც სროლით ვაფერხებთ. პირლიტა-ოტარკულის ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირემ ჩვენს ჯარს უკან დაახევინა, დობრუჯში მოპირდაპირეს იერიშები მოაქვს დუნაიდან ბოშეიომდე. ბალაბანისა და ბაშკიოს მიდამოებში მტერმა რამდენიმე მაღლობი აიღო, თუმც ზოგიერ ადგილიდან გავდევნეთ; დანერჩენ ადგილების დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდება.

**8 ქრისტეშობისთვე**

**სოლუნი.** მთელ ბრძოლის ხაზზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ მფრინავთა მოქმედება გაძლიერდა. ინგისტისთან მტრის ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ.

**ლონდონი.** ლლოიდი იტყობინება: ინგლისის გემი „გლენკოლ“-ი, როგორც სჩანს, დაუღუპიათ.

**ქრისტიანია.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა: აიკრძალოს არყისა და მაგარი ღვინოების შემოტანა და გაყიდვა იანვრის 8-მდე.

**9 ქრისტეშობისთვე.**

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. ბელუა-სანტერ-ბერნი-პრეფუარ-აბლანკურის მიდამოებში მტერი მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს. ჩვენც ენერგიულად უპასუხებდით.

**სტოკჰოლმი.** ვენიდან იტყობინებიან: გრაფმა კლამ მარტინიცმა ახალი სამინისტრო შეადგინა, რომელშიაც მოჰყვნენ: საშინაო და ფინანსების მინისტრად შპიცმიულერი, ვაჭრობისა—დეპუტატი ურბანი, საზოგადო სამუშაოთა—ბარონი ტრუკი, სარწმუნოების—ბარონი ჰუსარემ—ჰეილეგნი, იუსტიციისა—ბარონი შენი, გზათა—ფორსტორი, ჯანმრთელობა—ქვედა პალატის წევრი ბერნრეიტერი.

**ტოკიო.** ამერიკის დესპანმა იაპონიის მთავრობას გადასცა გერმანეთის წინადადება ზავის თაობაზე.

**პეტროგრადი.** ამერიკის დესპანმა საგარეო საქმეთა მინისტრს ნოტა გადასცა საზავო წინადადებისა, რომელიც გერმანეთმა წარადგინა.

**პეტროგრადი.** პეტროგრადის სამხედრო ოლქის გენერალ გუბერნატორი აცხადებს: რადგანაც მოპირდაპირეთა სახელმწიფოებში მყოფ ჩვენებურ ტყვეებს გაგზავნილ ფულს არ აბარებენ და ხაზინის სასარგებლოდ იჭერენ, აკრძალულია ტყვეთა სახელზე ფულის გზავნა. ამასთანავე აკრძალულია კერძო პირთაგან საზღვარგარედ გზავნა გაზეთებისა, გაზეთებიდან ამოჭრილ წერილებისა. ასეთს ამანათებს გადჰყრიან.

**ათინა.** შაბათს დაიწყო მორეიაში ჯარის გზავნა. სამხედრო მატარებელთა მიმოსვლა აიკრძალა. ელევსისა და ზისსეს სადგურებზე მეთვალყურე აფიცრები თვალყურს ადევნებენ მატარებელთა მიმოსვლას. პატრასში საფრანგეთის გემები დარაჯად სდგანან.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა ვილსონმა საგანგებო სხდომაზე სამ საათს ითათბირა გერმანელთა საზავო წინადადების თაობაზე. თათბირი შეეხებია იმ საკითხსაც, თუ შეერთებული შტატები რა მონაწილეობას მიიღებს.

**პარიზი.** დღის ოფ. ცნობა. მოპირდაპირის 4 საფრენი ჩამოვაგდეთ. ერთი ჩვენი საფრენი და მოპირდაპირის საფრენი ერთმანეთს დაეჯახა, ორივე ძირს დაეცა და დაიმსხვრა. ჩვენმა მფრინავებმა 26 ფუთი ყუმბარაჭურვი დააყარეს ბრიელის, ბიურმეზის, შარბევილის და მეზერიის სადგურებს.

მახლობელ აღმოსავლეთში სტრუმის ხაზზე, მაზადიკის მიდამოებში ცხარე ბრძოლა იყო „1050“ მაღლობის მიდამოებში.

**კიშინევი.** ლტოლვილი რუმინელებით გაჭედილი მატარებელი მატარებელს მისდევს.

**ოდესა.** გერმანელებმა ბუქარესტს 1 მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია დაადეს. ბუქარესტიდან 60 ათასი მცხოვრები გახიზნულა, რაც შეადგენს მოსახლეობის ერთს მეათედს. გახიზნულთა უმეტესობა მოხელეები და ინტელიგენციაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ამერიკა

**ზავის გარშემო.**

ამერიკაში მყოფი გრაფი ბერნსტორფი დიდის გულმოდგინეობით სცდილობს, თურმე, ზავისათვის ნიადაგის შემზადებას. ამერიკულ გაზეთებში მისი ნალაპარაკევია დაბეჭდილი. მას უთქვამს: „უკეთუ [illegible] მწიფონი ზავზე [illegible] შეიკრიბებიან, უმთავრეს საკითხად დაისმის საყოველთაო შემცირება შეიარაღებისა. გერმანეთის აზრით ყოველგვარი ზავი ფუჭია, თუ კი მას მოჰყვება შეიარაღების გაძლიერება. გერმანეთი აგრეთვე წინააღმდეგია საერთაშორისო კოალიციისაც, რომელიც უფრო მავნებელია ზავის საქმისათვის, ვიდრე სასარგებლო.

„მორნინგ პოსტ“-ი გადმოგვცემს: ბერნსტორფს განუცხადებია, გერმანეთი ზავის პირობებს მხოლოდ კონფერენციაზე წამოაყენებსო.

### რუმინეთი

**ოიტუზის ველში.**

რუმინეთში მაკენზენის ჯარი ეხლა ოიტუზის მხარეს აწვება. ამის თაობაზე „რ. ინ.“ სამხედრო მიმომხილველი გ. კლერჟე სწერს: რად აირჩია მოპირდაპირემ შემოსატევად სწორედ ეს ოიტუზ-ოკნინის ხაზი, ცხადია. მას ჰსურს ოიტუზ-ოკნინის ხაზით სერეტის შუა მდინარეობისაკენ გაიჭრას და რუსეთ-რუმინეთის ჯარი ამ ფრთაზე ერთმანეთს მოსწყვიტოს.

### საბერძნეთი

**გერმანელთა გავლენა.**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: ათინიდან უმავთულო დეპეშით გადმოგვცემენ: თანდათან ძლიერდება აგიტაცია, რომ საბერძნეთი გერმანეთის მოკავშირეებს მიემხროს და ომში ჩაერიოს.

**იარაღის დათმობა.**

საბერძნეთის მთავრობას მოკავშირეებისათვის 21 გიორგობისთვეს გადაუცია 6 ბატარეა.

**მეზღვაურთა განთავისუფლება.**

საბერძნეთის მთავრობას უკვე გაუნთავისუფლებია 19 გიორგობისთვეს საბერძნეთის ჯარის მიერ დატყვევებული ფრანგი მეზღვაურები, რომელნიც პირეაში მეორე დღესვე დაბრუნებულან.

**ვენიზელოსელთა დევნა.**

მეფე კონსტანტინეს ერთგული ქვეშევრდომნი კადნიერად და განუკითხავად სდევნიან ვენიზელოსელებს. ამის საპასუხოდ ვენიზელოსის დროებითმა მთავრობამ დევნა უწყო მეფის მომხრეებს კრიტისა, ეგეის კუნძულებსა და მაკედონიაში, სადაც ასობით ატუსაღებს მათ.

### კვამლის ყუმბარები

ამერიკული გაზეთი, „ნევ-იორკ-ვირლდ“-ი გადმოგვცემს, რომ გერმანელებს გამოგონილი ჰქონიათ ახალი ყუმბარები, რომელიც დაცემის დროს კუმეტ კვამლს აჩენს თურმე. ასეთი ყუმბარები უხმარიათ მათ იუტლანდიის ბრძოლის დროს. ზღვის ზედა პირზე დაცემული ყუმბარა კვამლს აჩენს და შავი კედლივით აღიმართება, თურმე, მებრძოლთა შორის. ამ დროს სარგებლობდნენ გერმანელები გემების დასარაზმად და იერიშების მისატანად, რადგანაც მოპირდაპირეს აღარ შეეძლო ნიშანში სროლა და მტრის მოქმედების მეთვალყურეობა.

## რა არის ფუტურიზმი?

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენს საზოგადოებაში გაისმის „ფუტურიზმი“. ბევრი რამ ითქვა მის შესახებ. პრესა ამხედრებულია. საზოგადოებამ იგი ყვითელ ხელთათმანად გაიხადა და მის სახელს ისე არ ახსენებს, რომ არ გაიცინოს. [illegible]კლოუნადა და შაბლონი წმინდა კრიტიკის ნაცვლად არასოდეს ყოფილა ამა თუ იმ იდეის დამმარცხებელ ფარხმალად, ამ შემთხვევაში არც ფუტურიზმი დამარცხებულა, ვინაიდან ბრძოლა ჰაერში ჰხდება, წმინდა ფუტურიზმის მოძღვარნი არა სჩანან, მკილავნი და მკიცხავნი კი მხოლოდ იმის შესახებ კამათობენ, რაზეც მეტად ნაკლები წარმოდგენა ჰქონიათ. ვეცდებით, საზოგადო აურზაურს ბოლო მოუღოთ და რამოდენადმე მაინც ნათელ ვყოთ იმისი სახე, რის გარშემოც კამათი ასტყდა.

ფუტურისტთა მოძღვრების აკვანი იტალიეთია. მისი აღორძინების ისტორია მეტად მარტივია. როგორც ვიცით, იტალეთის თანამედროვე აღორძინების ხანა 1848 წლიდან დაიწყო. მანამდე იგი წარმოადგენდა პატარპატარა სახელმწიფოებს და სამთავროებს, რომელნიც დამოუკიდებლად განაგებდნენ თავიანთ თავს.

ჩრდილო დასავლეთში სარდინიის სამეფო იყო გაჭიმული, ჩრდილოეთში მილანი და ვენეცია ავსტრიელთა კერძს შეადგენდა, ლომბარდიაში ორი დამოუკიდებელი სამთავრო იყო მოდენისა და პარმისა და სხვა. მხოლოდ ნაპოლეონის ომების შემდეგ ვხედავთ, რომ იტალელთა შორის ჩაისახა აზრი გაერთიანებისა. ამ იდეის მქადაგებლად გამოვიდა ჯუზეპე მაძინი, რომელმაც 1837 წ. დაარსა ეგრედ წოდებული ფარული საზოგადოება „ახალგაზრდა იტალეთი“. მან მიზნად დაისახა მეფეთა და მთავართა სამშობლოდან გაძევება, რათა იტალეთის რესპუბლიკა დაეარსებინა.

მაძინს ბევრი თანამგრძნობელი აღმოუჩნდა. ხმა მისი უკვე აშკარად გაისმის ყველგან. 1848 წ. იწყება რევოლიციური მოძრაობა. ამბოხება ჰხდება ვენეციის სამეფოში, სიცილიაში და ტოსკანში. მილანი განთავისუფლებულ იქმნა ავსტრიელთა ბატონობისაგან, ხოლო ვენეციაში დაარსეს წმ. მარკოსის რესპუბლიკა.

შემდეგ რამდენჯერმე კიდევ მოხდა ბრძოლა ავსტრიასთან. იტალელთ ამ დროს გამოუჩნდებათ სახელოვანი მამულიშვილი და აღმფრთოვანებული წინამძღოლი ჯუზეპე გარიბალდი, რომელიც სამართლიანად ითვლება იტალეთის სამთავრო-სამეფოთა ფაქტიურ გამაერთიანებლად. მრავალი ბრძოლის გარდახდის შემდგომ იტალეთი მისი წინადადებით აირჩევს „წყალობითა ღვთისათა და ნებითა ხალხისათა“ სარდინიის მეფეს მთავარ გამგებლად. ჯერი ახლა ტახტის არჩევაზე იყო. გარიბალდიც და მისი მეგობრებიც სატახტო ქალაქად რომს აღიარებდნენ. მაგრამ რომი პაპის სამფლობელოდ ითვლებოდა, თუ მას აიღებდნენ, მაშინ უნებურად ომი საფრანგეთისათვისაც უნდა გამოეცხადებინათ. მაგრამ აი, 1870 წ. საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა. იტალელთა და საფრანგეთს შუა ამიერიდან თავისთავად მოისპო ყოველგვარი ხელშეკრულობა, პაპი მარცხდება, იტალელთა ჯარიც იმავე წელს 20 ენკენისთვეში დიდის ამბით შევიდნენ რომში. ასე ჩაეყარა მკვიდრი ნიადაგი „თავისუფალს“ და „გაერთიანებულს იტალეთს“.

მაგრამ არ იკმარეს „განთავისუფლება“, თუ რომ სახელმწიფოს შინაგანი ცხოვრება არ იქმნება მოწესრიგებული. და აი, იტალიელნიც სწორედ ამ მხარეს მიაქცევენ დიდს ყურადღებას. აწეწილ-დაწეწილს ფინანსებს, როგორც იქნება, მოაწესრიგებენ, მეურნეობა ვითარდება, ვაჭრობასა და მრეწველობას ეყრება საძირკველი. ათეულ წლის განმავლობაში 1870 წ. ისეთი დიდი ცვლილება მოხდა, რომ ადამიანი განცვიფრებაში მოდის. სამეურნეო ქვეყნიდან იგი მომრეწავ ქვეყნად გარდაიქცა. გარდაიქცა იტალეთი ღონიერდება. „ახალგაზრდა იტალიელნი“ სცდილობენ მაძინისა და გარიბალდის იდეალები სრულ ჰყონ, შექმნან მტკიცე და ურყევი „დიდი იტალეთი“, რომელსაც მეტოქობას ვერ გაუწევდა ვერც ერთი მეზობელი ერი, თვით გერმანეთიც კი, საიდანაც მათ გადმოჰქონდათ ყოველისფერი, რაც კი რამ კარგი იყო და მათს ეკონომიურს ძალღონეს განამტკიცებდა. მალე ეს გატაცება „უზენაეს იმპერიალიზმისადმი“ მისწრაფებად გარდაიქმნა. „უნდა გაიზარდოს იტალეთი, უნდა“... გაიძახოდნენ ახალგაზრდები. მათთვის არა ჰკმაროდა მეტროპოლია. საჭირო იყო გასვლა, ახალშენების შეძენა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ზღვის დაპყრობა. მახლობელი ზღვა, „ზღვა ჩვენი“, როგორც ამბობდნენ ისინი, სახელდობრ, ადრიატიკისა, ავსტრიელთა ხელშია. ამ ზღვის დაბრუნება მორიგ საკითხად გარდაიქცა. „ადრიატიკი ჩვენი ზღვაა—nostra mare“—გაიძახოდნენ ისინი. აი, თუ გნებავთ, ერთი მთავარი მიზეზთაგანიც ეს გარემოება გახლავთ, რომ გერმანეთისა და ავსტრიის კავშირს გამოეცალა იტალეთი დღევანდელს ომში. ამავე მიზეზით ასტყდა, როგორც ვიცით, 1911 წელს იტალეთისა და ოსმალეთის ომი, როდესაც იტალელნი ყაჩაღურად შეიჭრნენ „შავს ხმელეთში“, ანუ აფრიკაში და ტრიპოლიტენი დაიზურგეს.

იმპერიალისტურმა მისწრაფებამ წარმოშვა შესაფერისი ინტელიგენცია, შესაფერისი მწერლობა. სილამაზე, მხატვრული შემოქმედება ოლიმპის მწვერვალებიდან მიწაზე ჩამოიყვანეს და უტილიტარისტულს ჯაჭვში გამოაწყვეს. ამიერიდან მათთვის აღარ არსებობს ესთეტიური კულტურა. ლამაზია ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულს აღორძინებას, კეკლუცი შემოქმედებაა ყოველისფერი ის, რაც ძალით შემოსება და „პატარა იტალეთს დიდად გარდაჰქმნის“. მომხიბვლელი ხმა პარნასისა შეიცვალა მრისხანე მუზის ხმად, რომელიც პოლიტიკო სოციალურ ლირიკის საყვირად იქცა.

პოეზიის სფეროში ამ ხანამდე იტალეთი საფრანგეთის მოხარკე იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას. ცარიელა სიტყვების ბრაგა ბრუნვი იტალიელ მამულიშვილთა გრძნობებს ბევრს არას ეუბნებოდა. მხოლოდ რევოლიუციის დროიდან იწყება გამოფხიზლება და თავისუფალი აღმაფრენა. გრაფ ვიტორიო ალფიერის ტრაგედიებში პირველად გაისმის თავისუფლების ჰიმნი, თუმცა თავისუფლება იგი უფრო აბსტრაქტიული იყო, ანტიური სამოსით დამშვენებული.

მის შემდეგ აღსანიშნავია ერთი უდიდესი რომანტიკოსთაგანი მგოსანი ალექსანდრო მანცონი (1785—1873წ.), რომელიც უძრავ პოლიუსს დაემსგავსა, და რომლის სიცოცხლე არ გასცილებია კათოლიკეთა სარწმუნოებას. იტალიელ ხალხთა გაერთიანება მას ჰსურდა სწორედ რელიგიურს ნიადაგზე, რელიგიითვე წინასწარმეტყველებდა იგი რომანულ რასის გამარჯვებას მთელს მსოფლიოზე.

მაგრამ ყოველისფერი იცვლება და შეიცვალა მისი მიმართულებაც, რაწამს ფაქტიურად განხორციელდა ამ რომანტიკოსის ოცნებანი იტალეთის გაერთიანების შესახებ. ახლა ოპოზიციაში ჩაუდგნენ მისი ძველი მოწაფენივე. მის კეთილშობილურს და ქრისტიანულს პოეზიას დაუპირდაპირეს ყოვლისდამგრევი და შემრყევი მატერიალისტურ მსოფლმხედველობის პრინციპებით, ბატონდება ელლინური კულტი ტკბობისა, სილამაზის სიმთვრალე და სივრცეთა აღტაცება.

შემდეგ ეს მიმართულებაც კვდება და კვლავ არენაზე ვხედავთ „ახალგაზრდა იტალიელთ“, რომელთაც ჰსურთ მამათა დაწყებული საქმე განაგრძონ. მათ შექმნეს სულ სხვაგვარი ჰიმნი, ჰიმნი ბრძოლის ყიჟინით გამობრძმედილი. ინდუსტრიისა და ტეხნიკის აპოთეოზს ფოლადის წკრიალით ეგებებიან! „მომავლისკენ... განდიდებისკენ...“

აი ამ მოძრაობას ეწოდა ფუტურიზმი. განდიდების მანიით დამთვრალ ახალგაზრდა იტალელთ თითქოს არ აგონდებოდათ აწმყო, თითქოს ანგარიშს აღარ უწევდნენ სინამდვილეს. გაჰხედეს აფრიკას და მოინდომეს ახალშენები, გაჰხედეს ზღვას, ესეც თავისათ გამოაცხადეს, ინახულეს გერმანეთის თვალუწვდენელი ტეხნიკა—ინდუსტრია და აქაც მეტოქეობას კი არა პირდაპირ პირველობის ქუჩინანობამ იფეთქა. ამ მხრივ, დიახაც, რომ აწმყოსაც და წარსულსაც დიდად დაჰშორდნენ ახალგაზრდები და ძალიან შორს წავიდნენ, მომავალში გადაიკარგნენ. ესენი ადგენენ სრულიად ახალს პროგრამას, ხშირად გულუბრყვილოს, მართალია, მაგრამ მაინც საყურადღებოს, ზოგჯერ სამართლიანს. ამას, შესაძლებელია, თვით ვერც კარგადა ჰგრძნობდნენ და სწორედ თავიანთ თავს ამიტომ უწოდეს „ფუტურისტები“. ლექსი futur—მომავალს ნიშნავს. მართლაც, მეტად ოცნებით უნდა იყოთ მოხიბლული, რომ საუცხოვო ქვეყანა სინამდვილედ წარმოიდგინოთ.

ასე თუ ისე, მიზეზები ფუტურიზმის წარმოშობისა სწორედ 1870 წლებში უნდა ვეძიოთ და მისგან გამოწვეულს თვალსაჩინო ცვალებადობაში. მალე ახალგაზრდობამ საგრძნობელი გამოძახილი ჰპოვეს იტალეთში. მარტო ის ფაქტი რად ჰღირს, რომ მათ მხარში ამოუდგა ისეთი თვალსაჩინო მგოსანი, როგორიც არის სახელოვანი გაბრიელ დ'ანუნციო! აი, მგოსანი ბედნიერი, რომელმაც ცხოვრებაში ბევრი რამ ნახა, სიტკბოცა და სიმწარეც. გუშინდელი დენდი დღეს შილტიანის დაფნის გვირგვინით საკუთარ ჰაეროპლანით დაჰფრინავს ბრძოლის ველზე! იგი იტალეთის პოლიტიკურს პერიპეტიებს ცელქი ტალღის სრიალით დასდევს. ჯერ ლიცეისტი, თხუთმეტი წლის გაბრიელი დამონებულ იტალეთს უმღერის განთავისუფლების ჰიმნს. საკმარისია გავიხსენოთ „ჰიმნი მეფე ჰუმბერტისადმი“, სადაც სხვათა შორის ამბობს:

„აჰა, იტალეთს მზე უბრწყინდება,
გვიდგება ხანა განახლებისა,
სამშობლო ჩვენი მოწმე გახდება
გმირთა-გმირების გამარჯვებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკანასკნელი ცნობები

ფრანც იოსებს ანდერძად დაუტოვებია 60 მილიონი კრონი დაჭრილ და დახოცილ ჯარის კაცთა ოჯახებისთვის, ხოლო 20 მილიონი თავის ქალიშვილებისა და შვილიშვილისთვის.

—

ვილჰელმს დასავლეთ ფრონტზე მიულჰაუხენში ლაშქარი დაუთვალიერებია და გრძელი სიტყვა წარმოუთქვამს, ზავის შესახებ მოლაპარაკების წინადადება იმის მომასწავებელი არ გეგონოსთ, ვითომც ჩვენ დავხუსტდით და ბრძოლა აღარ შეგვიძლიანო. ვილჰელმს განზრახვა აქვს უველა ჯარის ბანაკებს დაუაროს და ინახულოსო.

—

საჯარო ბეგარა გერმანეთში სამხედრო პირებს სისრულეში მოჰყავთ. გაიწვიეს უველა, ვისაც კი სამუშაოდ უნარი და ძალა შესწევს. ზოგს მწერალად აყენებენ, ზოგს მორიგ დარაჯად და ზოგსაც სამხედრო სურსათის და იარაღის ქარხნებში ამუშავებენ. ჯამაგირს ნიხრის კვალობაზე აძლევენ.

—

ბერლინის რაიხსტაგში ეროვნულ-ლიბერალების წევრებმა მოითხოვეს იმსჯელონ ზავისა და სესხის საკითხის შესახებ.

—

პოლონეთის მუდმივ სახელმწიფო საბჭოს დაარსებამდე, ახალ ბრძანების თანახმად მიწვეულია პოლონეთის დროებითი საბჭო, 25 წარმომადგენლისაგან შემდგარი—15 გერმანეთის და 10 ავსტრიის პოლონეთიდან. კრებებს საბჭოს თავმჯდომარე მოიწვევს, რომელიც დროებით გვირგვინოსან მარშლის სახელს ატარებს. ამ საბჭოს უფლება ენიჭება საქმეები აწარმოვოს და პროექტები შეიმუშაოს. საბჭოში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ეროვნულ პარტიის წევრნი, რომელნიც ილვწოდნენ პოლონეთის სამეფოს აღსადგენად და მოქმედებდნენ გერმანეთ-ავსტრიის მანიფესტის მიხედვით.

---

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებულ იქნება**

**სურათები:** ემილ ვერჰარნი, ლოიდ-ჯორჯი, ჰაეროპლანების ბრძოლა და მრავალი კარიკატურა სხვა და სხვა საკითხზე. **ლექსი:** ბურანი—სანდრო შანშიაშვილისა. **მოთხრობები:** ინბანისა, იანელისა და დრამა „ვულნიშალი“ მაშბედ-ბეგ აბაშიძისა.

---

# ახალი ამბავი

### ქართული დაწესებულებანი.

**ხარკოვის სათვისტომოს დახმარება.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ თვის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა გაეგზავნოს ხარკოვის ქართულ სათვისტომოს 100 მანეთი.

**სასურსათო საქმე.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ მოსთხოვა ქუთაისის რაიონულ განყ. გამგეობას აცნობოს სასურსათო საქმის მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში.

**საღამო სახ. საზოგადოებისა.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ დაადგინა თბ. 7 იანვრის ნაცვლად „ახალ კლუბის“ დარბაზში 27 ქრისტეშობისთვეს გამართოს საღამო.

**ანგარიშის დამტკიცება.** მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის მთავარ კომიტეტმა დაამტკიცა ანგარიში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა 12 გიორგობისთვიდან ვიდრე მიმდინარე წლის 1 მაისამდე. მთელი ანგარიში უდრის 34077 მან. 47 კ.

**საქველმოქმედო წარმოდგენა.** 7 ქრისტეშობისთვეს ქართულ საქალებო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრემ ამავე გიმნაზიის ხელმოკლე მოწაფეთა სასარგებლოდ საარტისტო საზოგადოების დარბაზში წარმოდგენა გამართა. წარმოდგენილ იქმნა ა. ჩეხოვის პიესა „ივანოვი“. დარბაზი სავსე იყო ხალხით და კარგს შემოსავალსაც მოელიან.

### ქალაქის დაწესებულებანი.

**ქალაქთა კავშირის** ბათომის კომიტეტი 100 ათას მანეთს სთხოვს კავშირის განყოფილებას ტრაპიზონის რაიონის დაწესებულებათა საჭიროების გასაძღოლად.

**ქალაქთა კავშირის** განყოფილებამ, ბ-ნ ბერნოვის წინადადების თანახმად, გადასწყვიტა დაარსოს გადამდებ სნეულებათა ამცრელი რაზმი.

### სომეხთა შორის.

**სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას** 17 ვაგონი ფქვილი დაუთმო სამხედრო სურსათის მყიდველმა ბ-ნმა დანილოვსკიმ გადმოხვეწილ სომეხთა საჭიროებისათვის.

**სომეხთა პატრიარქის მოკვლა.** ახალგაზრდა ოსმალთ გაუუქმებიათ სომეხთა კონსტიტუცია (საჰმანაუთუნ) და სტამბოლის პატრიარქი ზოვენი იერუსალიმს გადაუსახლებიათ, მაგრამ გზაზე მოუკლავთ.

### სხვა და სხვა ამბები.

**დ. ო. ნიჟარაძე** დასავლეთ საქართველოს თიავად-აზნაურთა მარშალი, თბილისში ჩამოვიდა.

**ნოქრების კლუბმა** იშოვნა ზამთრისათვის ბინა შუა ბაზარში (ჩილინგაროვის სახ., კონშინის ბინა) და ამ დღეებში მოქმედებას შეუდგება.

**შუამდგომლობა.** თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი ი. ქუთათელაძე და მეფის ნაცვლის წინაშე შუამდგომლობს, ენერგიული ღონისძიება იქმნას მიღებული საქონლის ჭირის წინააღმდეგ, რომელმაც საშიში ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველოში.

**საქართველოს ექსარხოსი** ინახულა მეფის ნაცვლის თანაშემწემ თავ. ორლოვმა.

**სამრევლო სკოლების** საეპარქიო მეთვალყურე ი. დ. რუდინსკი გაემგზავრა პეტროგრადს. თან მიაქვს სხვა და სხვა მოხსენებანი სამრევლო სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

**ლექცია ნ. ა. დუბროვსკისა.** დღეს, 10 ქრისტეშობისთვეს, ლექტორი ნ. ა. დუბროვსკი თბ. საოსტატო ინსტიტუტში საღამ. 8 საათზე წაიკითხავს ლექციას ჰენრიკ სენკევიჩზე.

**შუამდგომლობა.** თბილისის მეკანდიტერები, სულ 58 კაცი, ქალაქის გამგეობას სთხოვენ თვიურად 5.100 ფუთი შაქარს და 17.100 ფუთ თეთრ ფქვილს. თითო კაცზე ეხლანდელი შაქრის ნიხრი რომ მხედველობაში მივიღოთ, მეკანდიტერები 102 ათასი კაცის კერძ შაქარს თხოულობენ. გამგეობა ამ შუამდგომლობას დაკმაყოფილებას ვერ კისრულობს; რადგან უკვე არსებობს საბჭოს დადგენილება, რომ რამდენადაც შესაძლო იქნება, შაქრიანი ნაწარმოების დამზადება შემცირდეს საკანდიტეროებში. რესტორანებისა და სასტუმროების პატრონებიც, სულ 67 კაცი, შუამდგომლობენ, რომ ქალაქის გამგეობამ მისცეს მათ თვიურად 480 ფუთი შაქარი.

**კოოპერატივების დაარსება.** გუშინ, 8 ქრისტეშობისთვეს, მიხეილის ქუჩაზე გაიხსნა და მოქმედებას შეუდგა პოლიციელთა კოოპერატივი.

**ბ-ნი როძიანკო,** თავმჯდომარე სახელმწიფო სათათბიროსი, დეპეშით მადლობას უთვლის ქალაქის საბჭოს თანაგრძნობის გამოცხადებისათვის, მასა, როძიანკოსა და მარკოვ მე-II-ს შორის მომხდარ ინციდენტის გამო.

**ყაჩაღთა დაჭერა ზესტაფონში.** „ზაქ. რეჩს“ დეპეშით ატყობინებენ ზესტაფონიდან: 26 გიორგობისთვეს შორაპნის მაზრის უფროსი ვასაძე დარაჯებითურთ სოფ. ზავრეთში გარს შემოერტყა ავაზაკთა ბრბოს. სროლამ მთელ დღეს გასტანა. მოკლულია ლუთიძე, დაჭრილია მერკვილაძე, დაჭერილებია მოდებაძე, ვარდოსანიძე და ბრბოს მეთაური ივანე აბაშიძე. ერთი კვირის წინად დაიჭირეს კიდევ სამი ავაზაკი. ამნაირად მაზრის უფროსის ვასაძის მხნე მოქმედების წყალობით მაზრა თითქმის სულ გაიწმინდა ავაზაკთაგან.

**კავკასიის რკინის გზაზე** (ბალაჯართან) ამას წინად მომხდარ უბედურების დროს, სხვათა შორის, მოკვდარა სამოქალაქო ინჟენერი ქიქოძე.

**ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ქარ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების მიერ გამოცემული თხზულებანი იაკ. გოგებაშვილისა: „თავდადებულნი ქართველნი“ (მეოთხე დასურათებული გამოცემა) და „იავნანამ რა ჰქმნა“ (მეხუთე გამოცემა).

**დახმარება ლტოლვილ მუსულმანთ.** ტრაპიზონის რაიონის უფროსისათვის გადაუციათ 50,000 მანეთი ლტოლვილ მუსულმანთა შორის დასარიგებლად.

**თავად-აზნაურთა კოოპერაცია.** 7 დეკემბერს საღამოს რვა საათზედ შესდგა თავად-აზნაურთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა კოოპერატიულ საზოგადოების კრება გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. კრებამ ერთხმად დაადგინა, რაც შეიძლება მალე შეუდგეს საზოგადოება თავის მოქმედებას. გუშინ შესამუშავებლად და წევრების შესაძენად არჩეულ იქმნა დროებითი გამგეობა, რომელსაც დაევალა ოცს ამა დეკემბერს წარმოუდგინოს კრებას ვრცელი მოხსენება. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: კ. ი. სვიმონიშვილი, ი. ზედგინიძე, გ. ჟორდანია, დ. პარკაძე, ლ. ფურცელაძე, ი. რაზმაძე, ი. თაზიშვილი, ლ. ამირეჯიბი და ი. რამიშვილი.

### ბაქო.

**სომეხთა პროტესტი.** 2 ქრისტეშობისთვეს მოხდა ორგანიზაციათა საერთო ყრილობა, რომელზედაც დეპუტატმა პაპაჯანოვმა მოხსენება წაიკითხა. კრების ბოლოს ტერმიქელიანცის წინადადებით ყრილობამ ერთხმად დაადგინა: კრება ადგენს ადგილობრივს უმაღლეს მთავრობას გაუგზავნოს დეპეშა და პროტესტი განაცხადოს იმ საერობო კანონპროექტის წინააღმდეგ რომელიც მეფის მოადგილის კანცელარიამ შეიმუშავა ამიერ-კავკასიისა-თვის და რომელიც კავკასიის სომხობის ელემენტარულ და სამართლიან მოთხოვნილებებს ფეხით სთელავსო.

26 ნოემბერს ქართ. სკოლაში ქალთა წრის მიერ გამართულ „ჩაი“-ზე ორი ათას მანეთზე მეტი შემოსულა ფონდის გასალონიერებლად.

— ბინის საკითხი ბაქოში თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. სასურველ ოთახის შოვნა ერთობ გასაჭირია.

—დრამატურგი სიო ქანტურიშვილი სამსახურის გამო სხვაგან გადაიყვანეს. ამრიგად ბაქოს სცენას ერთი ცოცხალი ენერგიული ძალა მოაკლდა.

— სამხ.-სალ. წრემ 4 დეკემბერს წარმოადგინა „ციმბირელი“ რკინის გზის საკრებულო დარბაზში.

— იქვე აპირებს თვეში თითოოროლა წარმოდგენის მოწყობას ქ. შ. წ. საზ. დრამატ. კომიტეტიც.

— ს. ქანტურიშვილს ახალი პიესა დაუწერია.

### ახალ-სენაკი.

ძმებმა სანიკიძეებმა უკვე მოაწყვეს საელექტრონო სადგური და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან დაბის განათებას. ელექტრონი გაყვანილია ძმ. სანიკიძეთა თეატრსა და სასტუმროში, დაბის ზოგიერთ დაწესებულებაში და მთავარ ქუჩებზე.

— 4 ქრისტეშობისთვეს ახალ-სენაკს სამტრედიიდან სცენის მოყვარენი ეწვივნენ. ჯერ დაიდგათ დრამა „არსენა“ და შემდეგ ვოდევილი. დრამა რის წვალებით წარმოადგინეს, ხოლო ვოდევილისა ბოდიში მოიხადეს. ასეთი მაგალითი ხშირია ჩვენს დაბაში. აქაო და, ახალ-სენაკში კარგი სათეატრო დარბაზიაო, ვინ გინდათ, რომ აქ არ მოდიოდეს და არ გვაჩრიდეს „წარმოდგენა-კონცერტებს“. ახალგაზდა მგოსანმა ნ. ჩ—ძემაც ამას წინათ ასე იმედი გაუცრუვა საზოგადოებას. სამტრედიის სცენის მოყვარენი მუსიკიახათ ჩამოვიდნენ და წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გამართეს. გათენებამდე იქეიფეს და მერე წაბრძანდენ. ქეიფი და ისიც ამ გაჭირების დროს!..

### ზუგდიდი.

შუამდგომლობა აღძრულია სამგან გაიხსნას უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ერთი—სოფ. ხიბულაში, თ-დ პლატონ დადიანის პასუხისმგებლობით, მეორე—სოფ. ზანაში, მწერალ ქალ ეკატერინე გაბაშვილის სახელობისა, მღვდელ ათანასე თოდუას პასუხისმგებლობით და მესამეც—დაბა ხობში, არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე, დავით ლევანის ძის ლიფონავას პასუხისმგებლობით.

### ტრაპიზონი.

კვირას, 27 გიორგობისთვეს, ქალაქ ტრაპიზონში, სადა ბერძენთა წმ. გიორგის ეკლესიაში დასაფლავებულია იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონი, მის სულის მოსახსენიებლად მხედრობამ პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს ტრაპიზონის ქართველობა დაესწრო. პანაშვიდი ქართულად გადაიხადეს, ჰგალობდა ქართული გუნდი. ფულიც მოიკრიფა, რაც ხარჯს გადარჩა, საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცემა.

**ზემო და ქვემო აჭარეთი** (გორ. მ.)

სწავლის მხრივ აჭარელნი ძალიან ჩამორჩენილნი არიან; ასში ერთმა თუ იცის ქართული წერა-კითხვა, ისიც ცუდათ. სკოლის მხრივ ისინი არიან მიწერილნი სოფ. ქურთაზე, რომელიც ამ სოფლებზე სამი ვერსით არის დაშორებული. გზა ამ სოფლებ შორის ზამთრობით ძალიან ცუდია, ტალახიანი, რაც ფრიად უძნელებს აჭარელ ბავშვებს ქურთის სკოლაში იარონ. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ფულს იხდიან ქურთაში სასწავლებლის შესანახად, ბავშვები მოუტებულად არ დაუდიათ ზემოხსენებულ სკოლაში და ან თუ დაუდიათ, ორისამი ბავშვი, ისიც დიდის გაჭირვებით.

ზემო და ქვემო აჭარელთ საშუალება კი აქვთ ცალკე სკოლა შეინახონ; ორსავე სქესის ბავშვთა საჭირო რიცხვიც ადვილად მოგროვდება.

რადგანაც თვით სოფელ აჭარეთებში ინტელიგენტი არავინ მოიპოვება, კარგი იქნება თუ ახლო-მახლო სოფლების ინტელიგენცია, ან თუნდაც ცხინვალისა, გაირჯებოდეს და აჭარელებს სკოლის დაარსებაში მოთაოებას გაუწევდეს. გლეხები ძალიან მოწადინებულნი არიან სკოლა დაიარსონ.

## ზავის გარშემო

**ზავი ინგლისის თემთა პალატაში**

ლლოიდ-ჯორჯმა, ინგლისის კაბინეტის ახალმა პრემიერმა, თემთა პალატაში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც თანამედროვე მდგომარეობასაც შეეხო და პასუხიც გასცა გერმანეთის საზავო პირობებს. სიტყვის ეს ნაწილი ასეთი იყო: „ჩვენი პასუხიო, სთქვა პრემიერმა, მოკავშირეთა პასუხთან იქნება შეთანხმებული. თითეული მოკავშირე თავისთავად და დამოუკიდებლად მივიდა ერთსა და იმავე დასკვნამდე. მე მოხარული ვარ, რომ პირველად პასუხები საფრანგეთმა და რუსეთმა გასცეს, ამის სრული უფლება ჰქონდათ, ვინაიდგან მტერს მათი ტერიტორიის ნაწილები ხელში აქვს ჩაგდებული, და მათგან გაღებული მსხვერპლი ერთობ დიდია. მე გამოვედი იმ მიზნით, რომ ნათლად და გადაჭრით მხარი მივსცე მათს განცხადებას. მტრის წინადადებაზე თანხმობის გამოცხადება, ყულფში ნამდვილი თავის გაყოფა იქნება. შეუძლებელია ზავის ჩამოგდება, თუ გათელილი უფლება არ იქნება აღდგენილი. მოკავშირეებმაც ომში მონაწილეობა იმიტომ მიიღეს, გერმანელთა სამხედრო კასტის შემოსევისაგან ევროპის ხალხები და სახელმწიფოები დაეხსნა. ეს უნდა უსათუოდ მიღწეულ იქმნას და ჩვენც დავიცდით სანამ გერმანეთისაგან წამოყენებული იქნებოდეს ზავისა და გარანტიის უფრო საიმედო და მართებული პირობები. ჯერ კი ჩვენს დაუმარცხებელ ჯარს უფრო ვენდობით, ვიდრე მუხანათ გერმანეთსო“.

**ზავი რუსეთის სახელმწიფო საბჭოში**

5 ქრისტეშობისთვის სხდომაზედ საგარეო საქმეთა მინისტრმა, პოკროვსკიმ, განიმეორა მთავრობის პასუხი გერმანეთის საზავო პირობებზე, ამას წინად სახელ. სათათბიროში რომ წარმოსთქვა. მთავრობის განცხადებას მთელმა საბჭომ ვაშას ძახილით მიეგება.

**ბარონმა მელერ-ზაკომელსკიმ** განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით და კმაყოფილებით ეგებება მთავრობის მხნე და ვაჟკაცურ განცხადებას. ორატორს შეუძლებლად მიაჩნია ზავზე ლაპარაკი მანამ, სანამ რუსეთისა და მოკავშირეთა ჯარები საბოლოოდ არ გაიმარჯვებენ მძვინვარე მტერზედ.

მემარჯვენეთა ჯგუფის სახელით **შჩეგლოვიტოვი** აღნიშნავს, რომ მთავრობის განცხადებას საბჭოს მთელი ცენტრი დიდის თანაგრძნობით ეგებება და რომ ამ ცენტრსაც, ისე როგორც მთავრობასაც, ზავის ჩამოგდება შეუძლებლად მიაჩნია, ვიდრე უფლება და სამართალი არ გაიმარჯვებსო. შემდეგ მთელ საბჭოს საერთო დასკვნა გამოაქვს, სადაც გამოთქმულია საბჭოს სრული თანაგრძნობა მთავრობის კატეგორიულ გადაწყვეტილებაზედ.

## „პასუხის“ პასუხი ბ-ნ ი. გედევანიშვილს

ბ-ნო იოსებ!

ჩემი წერილი ვერ გაგიგიათ! მე მოგმართეთ როგორც დრამ. საზოგ. გამგეობის წევრს და არა როგორც კერძოთ ი. გედევანიშვილს, რომელსაც არასოდეს ჩემთვის საკუთარი ფული და გამოუგზავნია და არც მითხოვნია მისთვის. კერძოთ ი. გედევანიშვილს, თქვენც კარგად იცით მე დიდ პატივსა ვცემ და მიყვარს კიდეც.

ლღმდის, როგორც გამგეობის წევრი თქვენ განაგებდით ამ საქმეს. თქვენ მოგმართავდით ხოლმე წერილობით, თუ სიტყვიერად, თქვენ გადმომეცით თბილისს 25 მან., თქვენვე გამომიგზავნეთ სურამში 75 მ., ამ შემთხვევაშიაც, მგონა, უფლება მქონდა თქვენთვისავე მომემართნა. აღარა ხართ გამგეობის წევრი? აღარ განაგებთ ამ საქმეს? თქვე დალოცვილო, წერილი წერილზე რომ მოგდიოდათ და ბოლოს დეპეშაც გახელით, რატომ ერთი სიტყვით მაინც არ მაცნობეთ, რომ ეგ საქმე თქვენ [illegible] გეხებათ. და ამ შეცდომასაც თავიდან ავიცდენდით... და თუ თქვენი საქმე იყო და პასუხი არ გამეცით, მაშინ სრულიად ვეთანხმები ბ. „ქართლელის“ აზრს, რომ ჩვენი საქმე „**სხვათა შორის**“ კეთდება. თუ ზედმეტად დაინახეთ პასუხის გაცემა?! ამ შემთხვევაში თქვენი მოქმედება თქვენს სიტყვებს, რომ „პირადათ ჩემი დიდი პატივისმცემელი ხართ“, — სრულიად აქარწყლებს.

თუ თქვენი საქმე არ იყო, რადათ უთხარით ი. გრიშაშვილს: „შალიკაშვილს მისწერე, ფული მალე გაეგზავნებაო“? რატომ არ უთხარით: „მისწერე შალიკაშვილს, ეგ ჩემი საქმე არ არის-თქო?“

რაც შეეხება „სახალ. ფურც.“ რედაქციას, ტყვილად მახვევთ თავზე მისდამი უპატივცემლობას და არც არაფერს არ ვუსაყვედურებ! მე მეგონა თქვენთვის საძნელო არ იქნებოდა, რაკი მანდ ბრძანდებოდით, ის ფული გამოგეტანათ და ჩემთვის გადმოგეგზავნათ. ეს-კი, მართალია, როგორც გამგეობის წევრის, **თქვენი საქმე არ იყო და** ბოდიშს ვიხდი კადნიერებისათვის!

ტყვილათ მწამებთ მეორე კულტურულ დაწესებულების—ქართ. დრამ. საზოგ. უპატივცემლობას!

მე რომ ამ დაწესებულების პატივის ცემა და სიყვარული არა მქონდეს არც ვემსახურებოდი მას.

რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ვაღვიარო: დაწესებულებას დიდ პატივსა ვცემ, მაგრამ სისტემას მის საქმეთა წარმოებისას-კი—არა!

ან რა მოსატანი იყო აქ ბ-ნ „ქართლელის მაგალითი“? მე ჩემი საკუთარი აზრი და გონება მაქვს და მხოლოდ ჩემი გაჭირვება მალაპარაკებს.

არც ერთმა „ქართლელმა“ ისე კარგად არ იცის დრამ. საზ. საქმეები შიგა და შიგ, როგორც თქვენმა უმორჩილესმა მონამ, მაგრამ ვსდუმ, რა თქმა უნდა, დრომდე!

რა თქმა უნდა, ჩვენი კერძო ცხოვრება არავისთვის საინტერესო არ არის! ან კერძო ცხოვრებაშიაც რა უნდა მიკიჟინოთ ისეთი, არ ვიცი! მაგრამ, შეიძლება, საზოგადო ასპარეზზე მე ისეთი მომაკვდინებელი რამ ცოდო ჩავიდინე, რაიც უფლებას არ მაძლევს ვატარო ეს მაღალი სახელი „საზოგადო მუშაკისა“ და ვემსახურო საზოგადოებას!.

ბრძანეთ, მამხილეთ! მერწმუნეთ, მადლობელი დაგირჩებით!

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვიმეორებ, მოგმართავთ როგორც დრ. საზ. გამგეობის წევრს და არა კერძოთ, როგორც იოსებ კონსტანტინეს ძეს, რომლის პატივისმცემელი მუდამ იქნება

ვალ. შალიკაშვილი.

P. S. შეიძლება იმაში შევცდი, რომ ჩემს წერილს არ დავაწერე... **დრამ. საზოგ. გამგეობის წევრს**, ბ. გედევანიშვილს“? თუ ასეა, ნათქვამია—ერთი ალილუია, ღვდელსაც შესცდებაო“, მაგრამ ამიტომ კი არ გაჭკრეჭენ!

ვ. შ.

## სოფლადაც ოხობას ქსელის გაგმა სომხებისაგან

**სოფ. ჯუგაანი.**

სიღნაღის მაზრის კოოპერატივთა მიერ არჩეულ წარმომადგენელთ (სამმა კაცმა) შესთხოვეს ამას წინად თბილისის გუბერნატორს რავდენიმე ვაგონი პურისა, თუ ფქვილისა ფასად დაეთმო სიღნაღის მაზრის დამშეულთა და გაჭირვებულ მეკომურთა შორის გასანაწილებლად. გუბერნატორებმა თურმე შეიწყნარა ეს თხოვნა და აღუთქვა რავდენიმე ვაგონის გამოგზავნა. გავიდა ხანი და ვაგონები არ არის, გამეორდა თხოვნა და გუბერნატორმა ბრძანა გაჰგზავნოდა სიღნაღის მაზრას 16—18 ვაგონი ფქვილი ქ. სიღნაღის მოურავის სახელობაზე, რომელსაც ეს ფქვილი სოფლებზე უნდა გაენაწილებინა.

კოოპერატივთა წარმომადგენელთ რომ გაიგეს ფქვილი მოსულაო, ნოემბრის პირველ რიცხვებში მიჰმართეს სიღნაღის მოურავს და მოსთხოვეს თავიანთი ხვედრი ვაგონებისა.

მოურავმა ამირხანოვმა უპასუხა: ვიდრე ოფიციალური მოწერილობა არ მომივა, მე ფქვილს ვერავის მივცემ, თუმცა სიღნაღის მახლობელ სოფლებს ჩვენ თვით ვაყიდებთ ფქვილსაო.

ობობას ქსელის გაგება ობობამვე იცის: გაუგიათ რა ჯუგაანელ მირზოევიანცებს, რო „გალავას“ ფქვილი მოჰსვლიაო, ასულან მასთან 18—20 ნოემბერს და ალბად ხრიკების გადაბმით, უმწყალობებნია მ რზოევებისათვის ორი ვაგონი ფქვილი.

ჯერ არ ვიცით, ერთი ვაგონი ფქვილი საით და როგორ გააპარეს მირზოევებმა, მეორე ვაგონი კი თამამად მოიტანეს ს. ჯუგაანში და ჩამოცალეს თავისავე დუქანში.

---

სძლიე, მამაცო მეფევ, ჩვენს მტერთა,
ააწკრიალე მკვეთრი ფარხმალი,
და განახლებულ სამშობლოს თავზე
გარდმოგვივლინე ცხოველ მზის თვალი!“

დიახ, ამას სწერდა ჯერ კიდევ 15 წლის დ'ანუნციო, ლიცეისტი, პატარა გაბრიელი! საშედნიეროდ თუ სამწუხაროდ იტალეთის განთავისუფლების შემდეგ იგი ჩაიფლო ამორალიზმისა და ესთეტიზმის მორევში, რაშიაც ხელი შეუწყეს პარიზის სალონებმა და განსაკუთრებით საფრანგეთის სახელოვან მსახიობ სარრა ბერნარის დამეგობრებამ. საგმირო ჰიმნები ამიერიდან მივიწყებულ იქმნა. იგი უაღრესად ქურუმი გახდა ესთეტიური ამორალიზმისა და ჰქმნის თავისუფალ ეროტიზმის კულტს. და აი, ამ გარდატეხის დროს, როდესაც ვნება ეროსისა გამოსცალა, იგი ახალს მისწრაფებას ახალგაზრდა იტალელებისას ერთგულ საჭურისად მოევლინება. კვლავ აფეთქებს ძველი, მიძინებული გრძნობა. თავის ახალი ნაწერებით იგი გამოდის არა როგორც ტრფობისა და მშვენიერების მოციქული, არამედ როგორც ტეხნიკურ პროცესის მეხოტბე. თუ ოდესმე ქამსა ვნებიან სიმთვრალისას იგი მხოლოდ ამორალიზმით დაფქვულს და დათენთილს დენდებს და მხატვრებს ჰხატავდა, ზეკაცებს—suprahomini-ნებს, ახლა სწერს ახალს რომანებს, როგორიც გახლავთ თუნდა, ვთქვათ, მისი „სიყვარულზე უძლიერესი“, სადაც გმირი რომანისა მხატვარი და დენდი კი არ არის, არამედ ინჟინერ-ტეხნიკოსი. კორარდო ბრანდო საკუთარ ფეხით მიმოივლის „შავი ხმელეთის“ ანუ აფრიკის უცნობ ოლქებს და ახალგაზრდა იტალელთ დევიზად აძლევს ლათინთა ძველის-ძველ ძახილს: teneo te Africa› ჩემი ხარ, ჩემი, ჩემო აფრიკავ! გაბრიელ დ'ანუნციო იტალეთის განსადიდებელ პროგრამაში ადრიატიკის ზღვასაც არ ივიწყებს, ამ მხრით საყურადღებოა მისი ლექსთა კონა „Odi navali“, განსაკუთრებით დრამა „ხომალდი“. აქ დ'ანუნციომ ალლეგორიას მიჰმართა. სიუჟეტად აიღო ძველი ვენეციის დიდება და დევიზად წამოაყენებს ერთი მომქმედის პირით: „შენ დაიმორჩილებ უცხოელთ...“ რომ ზღვის ბატონი გახდეს ვენეცია, მიზნის განსახორციელებლად აგებენ უზარმაზარს ხომალდს. უფროსად ნიშნავენ მარკო გრატიკოს. აი, სხვათა შორის რას ავალებენ მას: „აჰა, ეს ხომალდი... სახელად დაარქვი „მთელი ქვეყანა“, totus mundus... იყავ ტრიბუნი და ადმირალი...“

ამ ზღვის ტრიბუნის სახეც მისჩერებია აღმოსავლეთს, სადაც ახალი რომის სანახაობა ლანდსავით დაუწყებს თრთოლვას. ხომალდი აგებულია. მარკო გრატიკო მიჰმართავს ხალხს: „ისმინეთ მომავალ ბედნიერების ხალხო! მე და ჩემი თანამგზავრნი თქვენს ჭაბუკურ ძალღონით გავზომავთ ზღვას. ამ გაზომვას ქარიშხალით აქოთებულ ადრიატიკის ზღვის ზვირთთა თამაშის დროს მოვახდენთ და წავალთ შორს—შორს, უცხო ქვეყნების დასაპყრობად, რომელთაც აღვითქვეს ჩვენი ბედი და მომავალი“...

როგორც ჰხედავთ, აქ დ'ანუნციო მარკო გრატიკოს სიტყვით წინასწარმეტყველებს როგორც ერთის მხრით ადრიატიკის ზღვაზე ომის შესაძლებლობას, ისე აფრიკისკენ გალაშქრებას. ასეთივე აზრები განავითარა მან უკანასკნელს რომანში, სახელდობრ, „შეიძლება-ჰო, შეიძლება-არა“-ში, სადაც მოთხრობის მთავარი გმირი ავიატორია. წარმოიდგინეთ, მან პოეზიაც არ იკმარა, ინჟინრობას მოჰკიდა ხელი და მალე ისე დახელოვნდა, რომ საკუთარი სისტემის ჰაეროპლანი საკუთარ ხელით ააგო და ალტაცებით გაინავარდა. რამთვრალეულ ბედნიერებას განიცდიდა, როდესაც მის ჰაეროპლანსა და ლატამ-ბლერიო-ფარმანსა და ძმათა ვრაიტების სისტემის ჰაეროპლანთა შორის მეტოქეობა ჩამოვარდა! მისი ჰაეროპლანი სტრუქტურით სადა, მეტად სუბუქი, ლამაზი და პატარა მერცხლისებური, პოეტურს აღფრთოვანებას იწვევდა მნახველში. მაგრამ ეს როდია საინტერესო, არამედ თვით დ'ანუნციოს უაღრესი ბედნიერება, რაიც მან თავის წარმტაც ლექსში განოჰხატა, რომელიც რამდენადაც მეხსიერება არ მღალატობს, ასეთის წყობით დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთ „ჟურნალში“: „ცაში მივფრენდი, მივიმღეროდი“... მუ'იკა ლექსთა წყობისა მოტორის ხმაურობაზეა შეწყობილი. ეს გახლავთ ჰ მნი ცის დაპყრობისა. მგოსანი ჰხედავს, რომ ამ დაპყრობის დროს მისი თანამგზავრნი იღუპებიან, მაგრამ რა ბედანაა სიკვდილი,თუ კი თვითეული მსხვერპლი მიზანთან გვაახლოვებს, ცას გვაპყრობინებს, საიდუმლო მისტერიათა ფერხულში გვაბამს! და აი, დ'ანუნციოც ლაღად მიჰქრის, არწივის ფრთებით გადაჰლახავს ღრუბელთა მთებსა, იხილავს ცათა-ცის მშვენიერებას, სივრცის მომხიბვლელს აპოთეოზს და მიტომაც მღერის... მღერის და მიჰქრის. უკვდავების და მარადისობის საიდუმლოს ეზიარება!..

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სოფლის შემნახველ გამსესხებელ და მომხმარებელ ამხანაგობათა გამგეთა წევრებმა შენიშნეს და ეჭვი დაებადათ: იქნებ ეს ფქვილი ჩვენი იყოს, თორე მირზოევი, ეს პატარა კაცუნა, ამდენს ფქვილს საიდგან მიიღებდაო.

ადგილობრივ პოლიციას დავაბარებინეთ პეტო მირზოევი საქმის ასახსნელად და აღიარა: მე ეს ერთი ვაგონი ფქვილი მივიღე სიღნაღის „გალავასგან". ფასი არ გადაუწყვეტია, თუ ფუთი როგორ გავყიდო. მართალია, ერთ კაცს ფუთი ექვს მანეთად მივყიდე, მაგრამ თუ ნაკლებად იქნება ფასი, ფულს უკან დაუბრუნებო.

ამის შემდეგ პოლიციას დავაკეტინეთ საწყობი, დავაბეჭდინეთ იგი და ავაკრძალებინეთ ფქვილის გაყიდვა.

პეტო აქეთ ეცა, იქით ეცა და მეორე დღეს მოიტანა რაღაც მოწმობა. მოწმობა არ გვიჩვენა, მხოლოდ პირად ამბობდა, გალავამ ტაქცია დააწესა ოთხი მანეთით და რაღათ მიკრძალავთ, რომ ფქვილი გავყიდოო.

ოთხ მანეთობაზე გაყიდვის ნება ჩვენც მივეცით და გაიყიდა ეს ფქვილი ჩვენი კაცის თანადასწრებით და აგრეთვე პოლიციისა. ფული ჩაჰბარდა პეტოს ოღონდ აღმოჩნდა, ეს ფქვილი 200 ტომარა ანუ ერთი ვაგონი კი არ იყო, სულ 138 ტომარა იყო. საკითხია, რა იქნა დანარჩენი ფქვილის ტომრები?

აი ესეთი ომბას ქსელების გაბმა დაიწყეს სოფლადაც ვიღაც მირზოევმა და ამირხანოვებმა. კინაღამ ერთმა მოთრეულმა აჯობა 700 მკვიდრ მცხოვრებელს და თუ პოლიცია-მოხელე შ. ა—შვილი და სოფლის შეგნებულნი ფხიზლად არ მოიქცნენ, იქნებ კიდეც გვაჯობოს, და თავისი გაიტანოს, მაშინ სირცხვილი სოფლის წარმომადგენელთ!

ხალხი აღელვებულია და ვიდრე საქმე გამწვავდებოდეს, ვურჩევთ მირზოევს და ამირხანოვს, გულ ახდილად გვიპასუხონ: 1) როგორც პეტო ამბობს, თვით ამირხანოვმა შეიძინა ეს ფქვილი და როგორც თვით შეძინებული გადასცა გასასყიდათ, თუ ეს ფქვილი გუბერნატორისაგან გამოგზავნილია სოფელზე გასასყიდათ?

2) თუ გუბერნატორისგან არის, რა უფლება და მოსაზრება ჰქონდა ამირხანოვს, რომ ეს ფქვილი გადასცა ვიღაცა კაცუნას და არა კოოპერატივის წარმომადგენელს?

3) როცა მირზოევმა იშუალობნა ამირხანოვისგან ორი ვაგონი ფქვილი, რა უყო ერთი ვაგონი, ვის მიჰყიდა და მეორე ვაგონის დანარჩენი ტომრები სად არის, ვის მიჰყიდა? ან იქნება ინახავს?

ესევე აღელვებული ხალხი და საზოგადოება უმორჩილესად ჰსთხოვს ადგილობრივ გულ-შემატკივართ, ქვემო-მაჩხაანის ბოქაულს და სიღნაღის მაზრის უფროსს, რომ სათითაოდ გამოძიებულ იქმნას ეს საქციელი მირზოევისა და ამირხანოვისა და დასამტკიცებელი საბუთები მოეთხოვოთ ჩვენისა და მათის მხრით.

მეთვალყურე.

## ქართულ გიმნაზიასთან არსებული უსასყიდლო სასადილო

ეს წრე რამდენიმე წელიწადია, რაც გიმნაზიასთან არსებობს, მუშაობს შეუმჩნევლად, წყნარად, მაგრამ სარგებლობა მისგან დიდი აქვს ქართულ გიმნაზიის უღარიბეს მოსწავლეებს. ეს წრე ყოველდღე უსასყიდლოდ თბილი საჭმელებით ჰკვებს ასზე მეტ მოსწავლეს და ეს მცირე შრომასა და ხარჯს როდი თხოულობს.

9 ამა თვეს ამ წრის წევრებს საერთო კრება ჰქონდათ, რომელსაც უნდა განეხილა 2 წლის ანგარიში და გამგეობის წევრთა არჩევნები მოეხდინა.

კრება მოხდა ექ. ვახ. ღამბაშიძის თავმჯდომარეობით. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა წრის გარდაცვლილ წევრების ხსოვნას: ქ-ნი ე. ი. სარაჯიშვილისას, თავ. ნ. რ. ერისთავისას, ალ. თ. ყიფშიძისას და სტ. ს. ელიაძისას.

შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქმნა 1914 და 1915 წლების ანგარიში. 1914 წელს წრის შემოსავალი უდრის 3007 მან. 67 კაპ. ამ თანხიდან საწევრო გადასახადია 673 მან., შემოწირულება 2053 მან. 59 კ. დახარჯულა 2615 მან. 93 კაპ. უსასყიდლო სადილია მიცემული წლის განმავლობაში 20.985.

1915 წლის შემოსავალი უდრის 2795 მან. 33 კაპ. მაშასადამე, წინანდელ წლისაზე რამდენიმედ ნაკლები; დახარჯულა იმავე დროს 2 293 მან. 32 კაპ. წლის განმავლობაში მიცემულია 14 870 უსასყიდლო სადილი.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ მოხდა არჩევნები: თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ისევ კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავმჯდომარის ამხანაგად კნ. ნ. ე. ქობულოვისა, გამგეობის წევრებად—კნ. ე. მ. ერისთავისა (ხაზინადარი), კნ. ა. მ. დიასამიძისა (მდივანი), ქ-ნი პ. ა. დაფქვიაშვილი, ქ-ნი მ. მ. ღოღობერიძისა, კნ. ე. ი. აფხაზისა, ნ. დ. მაკარაშვილისა და ქ-ნი ვანდა ღამბაშიძისა; კანდიდატებად—კნ. ნ. დ. ჯორჯაძისა, ქ-ნი ნ. ა. თაყაიშვილისა, თავადის ასული ბარბარე მალალაშვილისა, კნ. მ. გ. მაჩაბლისა, ქ-ნი ნ. ლ. გვაზავასი და ქ-ნი ს. დ. კალანდარიშვილისა; სარევიზიო კომისიის წევრებად—კნ. მ. ს. გელოვანისა, თავ. მ. ნ. მელიქიშვილი და ბ-ნი შ. ზ. დედაბრიშვილი.

კრებამ დაადგინა სთხოვოს გიმნაზიის დირექტორს, თანდათან შეკრიბოს ცნობები მოსადილე ბავშვების შესახებ იმ მხრივ, თუ რა გავლენა მოახდინა მათს ჯანსაღობაზე თბილმა და სალმა საჭმელებმა. ამასთანავე სურვილი გამოითქვა, რომ წრის წევრებმა შეძლების კვალობაზე ცნობები შეჰკრიბონ მოსადილეთა საოჯახო მდგომარეობის შესახებ.

დასასრულ, კრებამ უღრმესი მადლობა გამოუცხადა გამგეობას მხნე და თავდაუზოგველ მუშაობისათვის.

## ნიკ. ბარათაშვილის საღამო ბაქოში

უკვდავ მგოსნის დაბადებიდან 100 წლის შესრულების თავს, როგორც საქართველოს ყოველ კუთხეში—ბაქოელებიც დირსეულად შეხვდნენ. კვირას, 4 ქრისტეშობისთვეს, ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. ბაქოს განყ. დრამატ. სექციამ მოაწყო სალიტერატურო საღამო. საღამო გახსნა დრამატ. კომიტ. თავმჯდომარის ამხანაგმა — ახალგაზდა დრამატურგმა სიო ჰანტურიშვილმა, რომელმაც აუწყა ხალხს საღამოს მიზანი და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ძვირფას მგოსნის ხსოვნისათვის. ბ. ბერგერის მიერ შესრულებული შოპენის მარში პიანინოზე ხალხმა ფეხზე დგომით მოისმინა.

მგოსნის ბიოგრაფია წაიკითხა ბ. ვლ. ახობაძემ. ბ. შალვა დადიანმა მოკლეთ და მშვენივრად განუმარტა ხალხს დღეს ჩვენში გავრცელებულ „ნ. ბარათაშვილის სურათის" წარმოშობის ამბავი.

მეორე მოქმედებაში წაიკითხეს მგოსნის უკვდავი ლექსები. სხვათა შორის, არა უშავდა ბ. ილია გოგიას ლექსსაც, ბარათაშვილისადმი მიძღვნილს, რომელიც წაგვიკითხა შ. დადიანმა. ამავე მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო მომღერალმა ვ. სარაჯიშვილმა, რომელმაც ძლიერ ასიამოვნა საზოგადოება. საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

მესამე განყოფილებაში გმირებით წარმოდგენილ იქმნა „ბედი ქართლისა" და „მწირი და სუმბული".

საღამოს ნაჩქარეობა ეტყობოდა, მოუმზადებლობაც და სხვ. საღამო ძლიერ გვიან გათავდა, ღამის სრულ 1 საათზე და ხალხი სახელოვანი მგოსნის მოგონებით ნასიამოვნები დაიშალა.

თენგიზი.

## დაბა-სოფლები

**დ. საჩხერე.** რამდენიმე თვეა, რომ დაბა საჩხერეში დაარსდა კოოპერატიული საზოგადოება „მოდი-ნახე". მიუხედავად შეგროვილ თანხის სიცოტავისა, ამ საზოგადოების გამგეობამ მაინც შესძლო საგრძნობი სარგებლობა მოეტანა და ხალხის ნდობაც მოეხვეჭნა.

„მოდინახემ" ამ ზაფხულის განმავლობაში თავის დროზედ მიაწოდა დამშეულ ხალხს სიმინდი, პური, ჩაი, შაქარი და სხვა. მანვე დაადო გადაწყვეტილი ფასები ამ საგნებს, შეუნარჩუნა ჩვენს ღარიბ საზოგადოებას ის ფული, რომელსაც გვახდევინებდნენ მადა გაღვიძებული ადგილობრივი ვაჭრები.

წიგნთსაცავ-სამკითხველო დ. საჩხერეში, რომელიც დაარსებულია აკაკი წერეთლის სახელობაზედ, ძალიან ცუდს პირობებში არის.

გარშემო დუქნები აკრავს. ამ დღეებში მოხდა კრება გამგეობისა, ამ საგანზედ ჰქონდათ ბაასი. კარგს კი იზამდა გამგეობა, რომ უფრო სხვა ადგილს გამონახავდეს სამკითხველოსათვის მით უმეტეს, რომ საჩხერეში შენობები ბევრია და შედარებით უფრო იაფიც.

სხვა დაწესებულებათა შორის გვაქვს საავადმყოფო. ამ საავადმყოფოს, სამწუხაროდ, ხალხი გაურბის. მიზეზი ბევრია და მათ შორის ისიც, რომ ჯერ ერთი, მეტად მიუვალ ადგილზედ არის და მეორე, ერთი ექიმი და ფერშალი ყველას ვერა სწვდება. სწორედ ამიტომ უმეტესი ნაწილი ავადმყოფებისა ჭიათურაში მიდის ექიმთან.

ომის გამოცხადებიდან დღემდის საჩხერესა და მიდამო სოფლებში მშვიდობიანობა იყო. არ იყო არც ქურდობა, არც ძარცვაგლეჯა და აღარც კაცის კვლა. ჩვენდა საუბედუროთ, ამ ბოლო ხანებში ცხოვრებამ ფერი იცვალა.

გახშირდა ქურდობა შინაურ საქონლისა. სოფ. ჭალაში მღვდელს გიორგი კურცხალიას მოჰპარეს ცხენი, რომლის კვალისათვის ჯერ ვერ მიუგნიათ. არ შეიბრალეს არც ხანში შესული საჩინო მიშველიძე, ამავე სოფლის მცხოვრები, რომელსაც შვილები ომში ჰყავს და თვით უმწეოთაა ოჯახში. მოჰპარეს ოთხი სული საქონელი, მეწველი ძროხა და ხარები.

ს. არგვეთის მცხოვრებმა იორამ შეყლაძემ ვერაგულად მოკლა მეზობელი ვლადიმერ კუარაშვილი. ამ უკანასკნელს მხეცივით შეუვარდა ეზოსა და კარ-მიდამოებში და მისივე (მოკლულის) ხანჯლით გამოასალმა წუთისოფელს ჯერ კიდევ ჯანსაღი, ოთხი წვრილ-ცოლშვილის პატრონი კუარაშვილი. მოკლული 4—5 დღეს ეგდო არგვეთის ეკლესიაში, ექიმ-გამომძიებლის მოლოდინში.

აქეთ ხშირად შეხვდებით სხვა და სხვა „ფოდრაჩიკებს", ყიდულობენ: თეთრს, კაკალ წაბლს, დარჩეულ ნიგოზს, ტყემლის ტყლაპს, ლობიოს და ყოველ ნაირ სანოვაგეს, და მიზიდებიან რკინის გზით. ამან საშინლად გააძვირა ყოველივე. მაგ. ბათმანი ლობიო 4 მან. 40 კაპ. ღირს დღეს ბაზარზედ. აქვე ამ ზაფხულზედ მრავალი თრიმლისა და შინდის ფოთოლი შეაგროვა ერობათა კავშირის აგენტმა ლ. გელაშვილმა. ერთი ნაწილი უკვე გადაზიდა რკინის გზით.

ჯერ-ჯერობით ეთოში ქვა-ნახშირისა და ჯალმიში-ბარიტის დამუშავება ძალიან ნელის ნაბიჯით წარმოებს.

ხშირად გაიგონებთ ჩვენებურ გლეხისაგან ჩივილს: ერთი შვილიდა შემრჩა, რომელსაც თეთრი ბილეთი ქონდაო და რაცხა უბედურათ „შპალში" ჩავწერეო, ამ ზაფხულის ნამუშევერი კი მეკარგვის, არ ამიღიაო, იმას არ ვეძებ, ნეტავ შვილს მაინც არ წამართმევდენო. საჩხერესა და ჭიათურის მიდამოებში მრავალ შპალს ეზიდებოდენ ჩვენი გლეხები მოიჯარადრეებთან. ესენი რკინის გზას აძლევენ ამ მასალას. და მეტი არ იქნება, ყურადღება და ანგარიში გაუწიონ ხოლმე ატეხილ საჩივრებს ისედაც ტყავ გამძვრალ მომჩივან გლეხებისას.

წელს აქეთ წლის სამყოფი სარჩო არავის მოსვლია. აღარ იშოვება აღარც პური, აღარც სიმინდი, აღარც ნავთი. ხალხი დიდ შიშს განიცდის შიმშილის მოლოდინში.

ლალ. ქავთარაძე.

## შემოწირულება

ლიხაურის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შვიდის თვით გაზეთი „საქართველო" გაუწერა ბ-ნ გრიგოლ ჭანიშვილმა.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადო ქვემო დასახელებულ პირთ, რომელთაც დიდის სიამოვნებით შემოსწირეს ფულად ხატისათვის, სოფ. ავჭალის საზოგადოებამ და ინტელიგენციამ, რომ მიართვა 29 გორგომბისთვეს ქართველ ცხენოსანთა ჯარს. შემოსწირეს: 5 მანეთი თავ. ა. ციციშვილმა და კ. კ. ჰყონიამ; 3 მ. კ. ი. პარრამ; ორ-ორი-მანეთი: თავ. ა. დ. ბარათოვისამ, ო. გარაყანიძისამ, ე. ი. ვიხმანმა, ე. მისტროვისამ, ფონ ბადერმა, ი. ს. ვაწაძემ, ს. ნასიძემ, მღ. ნიკ. კანდელაკმა, მ. პ. ფოლდამ, ს. სუხიაშვილმა, ი. ჰოხონელიძემ, ე. კაკაურიძემ; თითო მანეთი: პ. გონჩაროვისამ, ო. მირზოევისამ, მღ. ე. სხირტლაძემ, მღ. კ. ელიზბარიშვილმა, მღ. კ. ბანეტაშვილმა, ე. წვიმაძისამ, თავ. ლ. ჯანდიერმა, ს. სარაჯიშვილმა, კ. ლომიძემ, პ. კიბალჩიჩმა, ზარემბომ, პოლსკიმ, გრეჩკინამ, ფილიპოვსკისამ, დიუცენკომ, დიმიტრიევმა, კ. ალექსანდროვმა, ა. ძამაშვილმა, ს. ბერათამ, ხ. გლურჯიძემ, ვ. პასკარსკიმ, გ. სხირტლაძემ, ი. ხინველმა ვ. სულიაშვილმა, პ. გიორგობიანმა, ნინო გიორგობიანისამ, ლუბა გიორგობიანმა, ე. გულიაშვილმა, ბ. გოგიჩაიშვილმა, ა. ონიაშვილმა, ნ. ვარდანაშვილმა, ზ. ს.ნაკოევმა, ვას. მარგიევმა, ზ. ბუწინკალურმა, ე. გარაყანიძის მ; ათ-აბაზიანი: ნ. ბატალინმა, ზ. ლომიშვილმა, სერ. გოგიჩაიშვილმა, გ. მათიაშვილმა, ე. ბანეტაშვილმა, თავ. პ. ტუსიშვილმა, მ. სარქისიანცმა, 40 კაპ. ა. ტერტერაშვილმა, 25 კაპ. ი. ჯაბიაშვილმა. თითო აბაზი: ი. ჯაბიაშვილმა, გ. ჯაბიაშვილმა, ი. ჯინჯარაძემ, ი. ივანიშვილმა, სოფ. რთველიაშვილმა. ზემო-ავჭალის სამ სკოლის მოწაფეებმა 2 მ. 27 კაპ., მღ. გრ. ელიზბარიშვილმა, მამასახლისმა აბუაშვილმა და მწერალმა ა. გუგუშვილმა სამივემ 20 მანეთი. შეწირულებათა შეგროვებაში შრომა მიიღეს ალ. ძამაშვილმა და ქ-ნმა ე. ი. ვიხმანისამ, რისთვისაც განსაკუთრებით მადლობას ვუძღვნით.

დიდათ ვწუხვართ, რომ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო ხატის მირთმევა არ მოხდა იმ დროს და ისე, როგორც განზრახული იყო.

მღ. ნიკიფორე კანდელაკი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 8 | „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 | „ 24 | „ საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით"**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჯავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

# თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

# მიმართეთ

— ცნობის კონტორას —

# ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად
და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდომ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

# შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ამხანაგობა
# „კახური მეღვინეობა"
## ჩუბუნიშვილისა და სონღულაშვილისა

კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.

საკუთარ მამულებიდგან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.

(თ.)

საუკეთესო, თავანკარა
# კახური ღვინო
მოიკითხეთ სარდაფში
# „ზ ვ ა რ ი"

პატივისცემით ი. ნ. ეგოროვი და ნ. ჩ. ბაცაშვილი.

თბილისი: ცერკოვნი ქუჩა № 1 (ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის ქუჩის პირველ მისახვევში, მარჯვნივ).

(თვ.)

# ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

გურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვევნას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშვილის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

**თითო კოლოფის ფასი 3 მან.** სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 საპ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.